



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს
 № 6 თ ბ ვ მ რ მ ა ლ ი 7 1899 წ. № 6

შინაარსი: წერილი მოსკოვიდან ისრსა.—სხვა და-სხვა ამბები.—უკვალის კორესპონდენტობი.—ვერიდან ვერამდე.—
 ანდრეს ჰაეროსტატი მოგზაურობა.—ქართული სიუჟეტი კაზმული მწერლობა 1898 წ. (გაგრძელება) ივ. გომართელისა.—
 პირიმზე, რომანი (შემდეგი) გ. წერეთლ სა.—საქველ-მოქმედო საქმე.—კვალის ფოსტა და განცხადებები.

რედაქციის ადრესი: ბრტვილერძის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

პარასკევს, 5 ამ თვეს, უეცრათ გარ-
 დაიცვალა საფრანგეთის პრეზიდენტი
ფელიქს ფორი. როგორც დეპუტები
 იუწყებიან, სიკვდილის მიზეზი წვეთის
 დაცემა ყოფილა.

წერილი მოსკოვიდან.

ღღევანდელმა ჩვენმა ცხოვრებამ მრავალგვარი
 საჭირ-ბოროტო კითხვა წამოგვიყენა გა დასაჭრელათ.
 ამათში უსაჭიროესი და უპირველესი ალაგი, უეჭველ-
 ლათ, იმას უჭირავს, რომელიც ამ ჟამათ მოსკოველ
 ქართველ სტუდენტებმა აღძრეს და ჩვენ თანამემა-
 მულეთ მიუთითეს, სახელდობ: საზღვარ გარეთ მიმა-
 გად ქართველ ასალგაზღვრებზე ზრუნვა და თვისი წვდი-
 ლის იმთ დასახმარებლათ შეწირვა. ყველამ კარგათ ეი-
 ცით, რომ ჩვენ დაწერილობებულ ცხოვრებაში არა
 ერთი და ორია დღეს ხელგასაწვდენი, დასახმარებ-

ლი საქმე და ვინ მოთვლის სხვები კიდე რამდენს
 აღმოაჩენენ, მარა ჩვენ საზოგადო მოღვაწეთა მოვა-
 ლეობაც იმაში მდკომარეობს, რომ გონიერულათ
 გარჩიოს ყოველი კირ-ვარამი ჩვენი დღევანდელი
 ცხოვრებისა და სინამდვილით იმაზე მიუთითოს იმ
 დანარჩენ თვისს მოძმეებს, რომელნიც ჩვენ ცხოვრე-
 ბას ან ვერ იცნობენ (ამაში, რა თქმა უნდა, ისინი
 დამნაშაფენი არ არიან) ან ვინც იცნობს არა ისე,
 როგორათაც ამას სინამდვილე მოითხოვს. უეჭველია
 ამ საგნის გადაწყვეტაში (რადგან იგი კერძოთ არა-
 ვის ჯიბის გაასაქვლებლათ არ არის წამოყენებული),
 ჩვენი მოღვაწეები უფრო მეტ დაკვირვებას და მიუდკო-
 მლობას გამოიჩენენ, ვინემ ამას დღემდე ჩაღიოდენ
 ყოველ საზოგადო საქმის ხელმძღვანელობის დროს.
 დღემდე თუ ეს თანხა ერთი წოდების, კლასის
 ინტერესების გამომხატველ-დამხმარებელი ფონდი იყო,
 დღეს მას ეს ეიწრო ფარგალი უნდა გაუფართოვდეს
 და თუ იგი გონიერულათ იქნება რაზნდმე მიმართუ-
 ლი, შეიძლება ფონდათ დაეღვას ყველა წოდების საერთო
 ინტერესების და საჭიროების გამოსატყუებას. ვიმედო-
 ვნებთ, შეგნებული ნაწილი ჩვენი საზოგადო მოღვა-
 წეებისა, რომელნიც ამ თანხის განაწილების საქმეში
 მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ, დღეს მაინც აღარ

დაყენებენ ბ. ვ. წ. (იხ. „ივერია“ № 279) საკითხს წოდებრივი ხასიათისას და არ იტყვიან: ეს ფული ჩენი (თავად აზნაურობის) იყო და დღესაც მის მფლობელობა-გამგეობას ქვეშ უნდა დარჩესო, მხოლოდ და მარტო მის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს და ისიც იმ ფორმით, რა ფორმითაც ამდენხანს ისეთ სამსახურს მას იგი უწევდა. დღემდე თუ ეს ფული საქართველოს ორ დედა ქალაქში იღვა, დღეს დეცენტრალიზაცია უნდა მოხდეს, ე. ი. მთლიან საქართველოს პროვინციებს უნდა მოეფინოთ, რომ უფრო გაეუადვილოთ სესხი მათ, ვინც ამდენათ თუ სიმორის, თუ ჩვენებური დოცელათობის გამო ქალაქს (ამ მათ გამათახსიერებელ წყაროს) ვერ წვდებოდა და მითი ვერ სარგებლობდაო, ამბობს ბ. ივანე როსტომაშვილი, ბ. ვ. წ. უფრო ლიბერალური წინადადებებს შემომტანი. (იხ. „ივერია“ № 269). ერთი სიტყვით ამ ორ მეპროექტეთა აზრია: არსებული ბანკების მხოლოდობით რიცხვი მრავლობითზე გაღვივანოთ და ეს დღეს დასარიგებლათ გამხდარი თანხა ამ მეტათ პრაქტიკულ საქმეს მოეხმაროთ, თუ გვიდა, რომ დანარჩენი მამა-პაპეული მიწა-წყალი მაინც შევიჩინოთო, მაგრამ ერთი ეკითხოთ ბ. ვ. წ. და მის თანამოაზრეთ, განა არის ან ყოფილა სადმე რომელიმე ერის ისტორიაში ამ გვარი საშუალებით თავად-აზნაურობის (და მით, მათის აზრით, მთელი ერის) ხსნის მაგალითი?! და თუ არ არის, რაღა ჩვენში აღმოჩნდება ეს ყოვლად-მხსნელი თილისმა და ისიც იმ გვარი თანხის წყალობით, როგორის განაწილებაზე დღეს ლაპარაკია?!. თუ ბ. ვ. წ., მუდამ სოფლის დეპო-ბანკების მოტრფიალე ბ. ივანე როსტომაშვილთან ერთათ, ამ თანხის მოგების სურვილით არის გატაცებული, რათა ამ ნაირათ მონაგები ფულით სწავლა განათლება შევიძინოთ, — ამ ზომიერმა ლიბერალებმა რაღა სოფლის ბანკები ნახეს ამ გვარ მოგების მომცემ დაწესებულებათ ამ სამრეწველო საუკუნის მიწურულში?!. საქმე თუ მოგებაზე მიდგა, რომ ამ მონაგებით საერთო სურვილი, დღევანდელი საქირ-ბოროტო საქიროება დავიკმაყოფილოთ, მაშინ, უეჭველია, სოფლის ბანკებზე უფრო უხიფათო და მომგებიანი საქმეც შეიძლება გამოჩნდეს ადამიანმა. მარა ეს სამერმისო საკითხია და ამიტომ ახლა ამაზე ლაპარაკს თავს ეანებებთ.

ჯერ კიდევ ლიტერატურაში გადაჭრით არ იყო დაყენებული საკითხი: ბანკებიდან გამოტანილი ფული როგორ მოვიხმაროთო, ¹⁾ მოსკოვის ქართველო-

ბამ გასული წლის გიორგობისთვის დამღესი ^{გადაწესდა} ყველა, რომ ამ მოსალოდნელი თანხის ერთი ნაწილი გადაეღვათ საზღვარ-გარეთ მიმავალი მოსწავლე ახალგაზდებისათვის. დღეს ეს წინადადება უკვე წარმოგზავნილია და ჩენი მხრით ამ წინადადებას დასტამბევს საქიროთ ვცანიო. *)

ზემოთ მოყვანილი წინადადება, ჩენის აზრით, მოკლეთ საკმარისათ დასაბუთებულია. თუმცა აქ აღძრულ საკითხებზე გაცილებით ბევრი შეიძლება დაწერილიყო, მარა ამ ხელათ მოსკოვის ქართველობამ ეს იკმარა, რადგან სახეში ჰქონდა მხოლოდ წინადადების შემოტანა. რაც შეეხება მის დაუმთავრებელ ნაწილს, ე. ი. ამ საქმის ორგანიზაციას. — ამის საძირკველი უკვე ჩაყრილია გასულ წლებში „მეფე ირაკლის თავნის“ შედგენით... შემდეგი ორგანიზაცია იმისა, თუ ვინ გაიგზავნოს საზღვარ-გარეთ, სადა, ან რისთვის, — ამაზე დაწერილებით ლაპარაკსაც ჯერჯერობით ნადრევათ ვთვლით. დღეს მხოლოდ პრინციპიალურათ უნდა გადაეწყვიტოთ, რომ ამ საკითხს თანხიდან გადაიღვას ნაწილი საზღვარ-გარეთ განათლების დასამთავრებლათ მიმავალ ახალგაზდებისათვის. საქიროთ მიკეანია აქვე შევნიშნოთ, რომ ამათში უპირატესობა დღეს-დღეობით მაინც ლიტერატურულ მოღვაწეობისათვის მოსამზადებლათ მიმავლებს უნდა მიეცეს, რადგან ამისათვის მომზადებული პირები მეტათ და მეტათ მცირენი გვეყვანან მიუხედავათ იმისა, რომ სამუშაოარი, გასაკეთებელი ამ სფერაში ძალიან ბევრი გვაქვს. მთელი ჩენი ძველი და ახალი ცხოვრება შეუსწავლელ-გამაუკვლეველია, უცხოელების თითო-ოროღა გაკვრითი გამოკვლევა-მოკონებებს კი, როცა ისინი ორიოდ კომპლიმენტს წარმოთქმენ ხოლმე ჩვენზე უცხოეთში, ალტაცებაში მოეყევართ, მაგრამ ვაი იმათი ბრალი, თუ ცუდათ მოგვისხენიეს, იმათ შინაურულათ (გარეთ თავის გამოყოფას ხომ ძვირათ თუ ვინმე ჩვენგანი გაზედავს!!) ჩვენგან გაღანძლეა-გინებას საზღვარი არ აქვს. ნამდვილათ კი ვის უნდა ვემდუროდეთ?! ისევ ჩვენ თავს და მეტს არავის... ერთი სიტყვით ამ სფერაში სამკალი ბევრია, საქიროა მხოლოდ რიგისანი მომკვლები, შეგნებული ზე მცენიერულათ მომზადებული მშრომელი ახალგაზდები, რომ ჩენი ცხოვრების ავ-კარგი თვალ-საჩინოთ დაანაზონ თავისიანებსაც და სხვებსაც. აი, ამიტომ ასეთი ახალგაზდების აღზდის საქმე დღეს მაინც უნდა გახდეს ჩენი ქვეყნის გულშემატკივართათვის საკითხს საზრუნავს საქმეთ და დარწმუნებული ვართ წელილი გაღებულ

1) სამართლიანობას მოითხოვს აღნიშნოთ, რომ შარშან ზაფხულში ჯერ „მეყვნის“ რედაქციამ და მერე „კავკასის“ ქუთათუქმა კორესპონდენტებს აღიქმეს ამ თანხის მოსმარებაზე ღაზანაკი.

*) დასტამბა „კვალის“ უკანასკნელ ნომერში.



ამ საქმისათვის გამოიღებს უკედავ ნაყოფს მომავლი-
სათვის... აი, სწორეთ ამ ახალ და ჯერ ხელუხლე-
ბელ უბიწო მხარეს ჩვენი ცხოვრებისას მიაპყრო
დღეს მოსკოვის ქართველებმა ყურადღება და საგანი
მათ მიერ აღჩეული ნამდვილათ ღირსია თავად-
აზნაურობის თანაგრძნობისა...

ისი.

სხვა-და-სხვა ამბავი.

მფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინა-
მძღოლმა, თავ. კ. მუხრანბატონმა თავისი დიდი მა-
მული—მუხრანი საუფლისწულო უწყებას მიყიდა
ორმილიონ ნახევარ მანეთათ

1898 წლის განმავლობაში ამიერ კავკასიის
რკინის გზით გაუტანიათ 17,475,000 ფუთი შავი
ქვა. ამათში 16 მილიონამდი გაუტანიათ შორაპნის
სადგურიდან, დანარჩენნი ყვირილის, ძირულის და
გომის სადგურებიდან. ამბოგენ წელს 25 მილიონ
ფუთამდე შავ-ქვას გაიტანნო.

როგორც ისმის 2 მარტს მოხდება თფილისის
გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, რო-
მელსაც საგნათ ექნება: არჩევა წარმომადგენელთა
სათავად-აზნაურო ბანკისთვის, გადაწყვეტა, შემო-
ღებულ იქმნას გუბერნიაში ერობა თუ არა, დაარსე
ბა მეფის ირაკლი მეორის სახელობაზე სტიპენდიების,
დაჩქარება მიწების გამიჯვნის და სხ.

როგორც ვიცით, თფილისის საბჭო აპირებს „სა-
ხალხო სახლის“ აკებას, მაგრამ უადგილობის გამო
საქმე შეფერხებულ იყო. ახლა ქ-ნ ვ. მ. ნადი-
როვისას აღუთქვამს: მე დავითობით 600 ოთხკუთ-
ხიან საყენ მიწას, რომელიც ჩულურეთში, ენფიანჯი-
ანცის ქარხნის ახლოს მდებარეობსო. ამით ამ საქმეს
მკვიდრი საფუძველი მიეცა და იმედია შენობის და-
წყებასაც არ დააგვიანებენ.

ბაქოს გაზეთის სიტყვით ნავთის მწარმოებელთა
მომავალ კრებაზე აღიძრება კითხვა შესახებ რმისა,
რომ დაარსდეს კასები ნავთის მუშათა ქერიეობლე-
ბის, ავთამყოფ და დასახიზრებულთა სასარგებლოთ.
ეს კასსა უნდა შედგეს მუშათა ქირის ერთი პრო-
ცენტისაკან და თვით მწარმოებელთა მიერ შემოტა-
ნილ ფულისაგან. ამას გარდა რამე კრებაზე განი-
ხილვენ პროექტს შესახებ ერთი ვეკილის დაქირავე-
ბისა, რომლის მოვლეობა იქნება დაზღვეულ მუშა-

თა ინტერესების დაცვა დამზღვეველ საზოგადოებებს
წინააღმდეგ.

შავი ქვის გამტანს ავეგერინოს და სხ. დაუარსე-
ბიათ ახალი ამხანაგობა ამ თერმით „ავეგერინოს შვი-
ლები და ამხ.“, რომლის მიზანია ეაჭრობა კავკასიის
შავი ქვით, სიმინდით, ხე-ტყით და სხ.

ხუთშაბათს, 4 თებერვალს, ჩვენი არტისტის
გედევანოვის ბენეფისი იყო. წარმოადგინეს „ჯან მე-
გობრებო“ და ბოლოს გაიმართა დივერტისმენტი. ეს
ერთი საუკეთესო ბენეფისთაგანია ამ სეზონში. თე-
ატრში ხალხის ტევა აღარ იყო, ბევრი უბილეთობის
გამო უკან დაბრუნდა. მობენეფისეს დიდი აღფრ-
თოვანებით დაუხვდენ და რაოდენიმე საჩუქარიც მი-
ართეს. წარმოდგენა ჩინებულათ ჩაატარეს არტის-
ტებმა. დივერტისმენტის წინ სცენაზე მოგროვდენ
ყველა არტისტები და მათ მაგიერ კ. მესხმა სიტ-
ყვა უთხრა მობენეფისეს მისი ქართულ სცენაზე ათი
წლის მოღვაწეობის შესრულების გამო და მართვა
გვირგვინი. აგრეთვე საჩუქარი მართვა ვ. აბაშიძემ.
ბ. გედევანოვმაც რაოდენიმე სიტყვა უთხრა არტისტთ
და მეტე მადლობა შეწირა დამსწრე საზოგადოებას
ასეთი ყურადღების და პატივისცემისათვის.

რედაქციამ მიიღო პირველი ნომერი „აკაკის
კრებულის“ და „მოამბის“. „კრებულში“ აკაკის ნა-
წერებს გარდა მოთავსებულთა სხვების ნაწერებიც
ასე რომ ეს ახლა უფრო ჟურნალს გავს, ვინემ კრე-
ბულს.

აკაკის კორესპონდენციები.

ჭიათურა. მკითხველებს მოეხსენებთ, რომ შავი
ქვის წარმოება არის დაწყებული ჭიათურას მადნებში
1879 წლიდან. ამ დღიდან ოდნეაც არ ეტყობა
გაუმჯობესობა მუშაობს, აგერ გადის დაწყებიდან
20 წელიწადი, ვისაც კი ხუთი თუმნის მოხერხება
შეუძლია ყველა შავ ქვას აწარმოებს ჭიათურაში,
ასე ადელილი სამუშაოარი შეიქნა მათთვის, მაგრამ
მუშაობის გაუმჯობესობას კი არ ვინ დაგიდევს,
ყველა ფიქრობს, მემამულეა ის თუ მოიჯარა-
დრე, დღეს დღეობით გამოკლიჯოს შავი ქვის
ადგილებს რამე, წესიერი ნამუშეარი იქნება თუ
უწესო, დიდ ზარალს მოუტანს ამ გვარი მუშაო-
ბა მამულს თუ არა—ამას ყურადღებას არ ვინ აქ-
ცევს. ყველა შავი ქვის მწარმოებელს ეადვილება
წინა პირიდან დაიწყოს მუშაობა და ახლო მდებარე

ქვა ამოიღოს, ხოლო იმას იქით სიღრმეში—ორასი საჯენის მანძილზე შავი ქვა რჩება და იმის ამოღება შემდეგ დიდ ხარჯს ითხოვს. ამ უწესრიგო მუშაობისათვის მთავრობამ დააყენა „მტეიგერები“ და ინჟინერი, რომ ყურადღება მიექციათ მადნების უწესრიგო მუშაობაზე, მაგრამ ალარც მერე დაეტყო გაუმჯობესება მუშაობას, ვინაიდან მათი მომხრობა თითოეულმა მწარმოებელმა ადვილათ მოახერხა და მუშაობა მადნისა ისევ ისე მიდის ჩვეულებრივით. და ამისთანა ძვირფასი სიმდიდრე ამ გვარი უფიც მწარმოებელის გამო უნდა დაიკარგოს დღეს თუ ხვალ. რამდენსამე წელს შემდეგ ჩვენებურ მწარმოებელს არ შეეძლება აწარმოვოს შავი ქვა, რადგან გვირახების გამაგრებას დიდი ხარჯი დასჭირდება და იმათ კი შეძლება არა აქვთ. მაშინ უსათუოთ უცხოელების ხელში გადავა მთლათ ჭიათურის შავი ქვის მადნები და ჩვენებური მწარმოებელი კი პირში ჩალა გამოვლებული დარჩება. დღეს კი ასე ვადილება ყველას შავი ქვის მუშაობა. მაგალითათ, გამოიღო მწარმოებელმა გვირახიდან ნახევარი საჯენი გაწმენდილი შავი ქვა, (აქაური არშინი 20 ვერშოკია) ესე იგი ათასი ფუთი, ამ ნახევარ საჯენს შეურეგეს უბრალო შავ მიწას, თუ კი იზოვია და ჰყიდის ამგვარათ ჭიათურის საწყობზე ორი ათას ფუთათ. ესე იგი ათასი ფუთი უბრალო მიწა გაჰყიდა, თუ ასე არ მოიქცა ისე ვერაფერს ვერ მოიგებს. მაგრამ მექარხნეები როცა იქნება გაიგებენ ჩვენებურ ხრიკებს და ჩვენ ქვასაც ნდობა დაეკარგება. აქაურ „სიეზმა“ გადაწყვიტა ეთხოვოს სამინისტროს, ჭიათურიდან შორაპნამდის ტარიფის მოკლება, მაგრამ ის კი არ უფიქრიათ ამ ვაჭატონებს, ამ დაკლებით ისარგებლებს ჩვენებურ მწარმოებელი თუ არა! მე მგონია, არა თუ ისარგებლებს, კიდევაც იზარალებს, ვინაიდან ჩვენებური მწარმოებლებს არ შეუძლიათ თავისი ნიხრი გააბატონონ სამხლვარ გარეთ. ასე რომ მექარხნებიც დაუკლებენ ფასებს, იმდენათ რამდენათაც ტარიფს მოაკლდება და მით ისევ ძველებურ მდგომარეობაში ჩავერდებით. მაგრამ აქაურ მწარმოებელთ ერთი პირი რომ ჰქონდეთ, ფული არ უჭირდეთ და გაყიდვას არ ჩქარობდენ, მაშინ ჩვენ შეგვეძლება ფასების დადგენაც. ამისათვის კი საჭიროა ერთი საზოგადო საეაქრო სახლის დაარსება მწარმოებელთაგან და აგრეთვე მადნების დამუშავების წესრიგის შემოღება. მათ კი ურჩენიათ პეტერბურღში ფულების ხარჯვა ვინემ ამ საქმეზე გროშის გამოიმეტება. მაგრამ ამ გვარ კეთილ საქმეს ვინ დაეძებს. 1894 წელს სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ თითო ფუთ სამხლვარ გარეთ გაგზავნილ შავ ქვაზე აიღოს ბაჟი 1/2 კაპიკი, მაგრამ შემდეგ „სიეზის“ დაარსებისა, სამინისტროს

ეთხოვია ეს ალებული და ასალები ფულები გადაეცეს „სიეზის“ მართველობის რჩევას, მის განკარგულების ქვეშ და უნდა მოხმარდეს ჭიათურის საწარმოებელ მადნების გაუმჯობესობას, საავთმყოფოს, ინჟინერს, მტეიგერებს, გზებს, სკოლას, ჭიათურის საბოქაულო კანცელარიას. ეს თხოვნა სამინისტრომ უკვე შეიწყნარა, მაგრამ მას შემდეგ რას ვხედავთ? ტარიფის დაკლებაზე მეტი ინარჯვის ვილაც ორი თუ სამი მწარმოებელის სასარგებლოთ, ვინემ სხვა შემოთ ჩამოთვლილი საქმეზე და არც არცინ ხმას არ იღებს. ჯერ პირველი ყურადღება უნდა მიქცეოდა მადნების გზებს, საიდანაც შავ ქვას ვხივდებიან დიდის გაჭირვებით ჩაღვადრება. ვისაც თვალი არ აქვს შეჩვეული, ვერ გაივლის, იტყვის ადამიანი ბეწვის ხილიაო, ამ გვარ თვალ უწევდნენ ციკაბო კლდეებზე არის გზა. არა ერთი ცხენი შეუწირავს თავის ტანჯულ პატრონს, რომელსაც ვინ იცის რა გაჭირვებით ჰყავდა ნაყიდი. გზების გასაკეთებლათ ფულია გადადებული, ის სხვამ უნდა ხარჯოს და საწყალ ხალხმა თავ-პირი იმტერიოს, ეს არის სამართალი? ახლა მუშებს მდგომარეობას არ იკითხავენ? ისინი მუშაობას იწყებენ დილის ექვს საათზე გვირახებში, სადილობის დროს—შუადღეზე—ეძლევათ ნახევარი საათი, და მას შემდეგ მუშაობენ ცხრა საათამდის; ცხრა საათს შემდეგ ისვენებენ, უმეტესობა კი სამ საათს ისვენებს მხოლოდ და მერე ისევ მუშაობს. ე. ი. დღე და ღამ მუშაობენ ჭიათურის მადნებში მუშები საშუალო რიცხვით რომ ვიანგარიშოთ 16 საათს და იღებენ სამ-აბაზიდან ოთხ აბაზამდის! ბევრი მუშები იქ ღამითაც იძინებენ, სადაც მუშაობენ ტან-გაუზღველათ, ძირს ჩალა თუ უვია რომელიმეს, დიდი ღვთის წყალობაა. იკვებებიან პურიით, უმეტესობა კი ხმელი ცივი ჭაღით და ზედ წყალი. ხშირათ მოხდება მაგ. გვირახის ჩამონგრევა, შიგ მოჰყვა მუშა და დამარცხდა. მადნის მწარმოებელი გაგებისათნავე სტაცებს ხელს დაშავებულ მუშას და ჰგზავნის სახლში, მცირე რამ საჩუქრით, მისთვის არც წამლობაა და არც ექიმი. ზოგი მწარმოებელი, რომელსაც დაცული აქვს მუშაობის წესრიგი, უბედურ შემთხვევას განაცხადებს ინჟინერთან ან ბოქაულთან და ისინი გაგზავნიან მუშას ჭიათურის საავთმყოფოში, მაგრამ იქაც უყურადღებოთ გდია ტანჯული მუშა ტანტზე, თუმცა ფერშლები არიან და კვარაში ერთხელ ექიმიც მოდის ყვირილიდან ავთმყოფების დასათვალიერებლათ, მაგრამ დიდ გულმტკინეულობას ვერ იჩენენ. ავთმყოფი ტკივილებით ტანჯული თან სასმელ-საჭმელს მოკლებული, გაწვალებული დიდ გაჭირებაშია ჩაყარდნილი. დროა, ბატონებო, ნახევარი კაპეკაბით მოგროვდეს

ფული, მოხმარდეს ზემო აღნიშნულ საქმეებს და ამ გვარ ცულ საქმეებს ბოლო მოელოს.

ილია კაკაბაძე.

განჯა. კვირას 31 იანვარს ქ. განჯაში გაიმართა ჩვეულებრივი ქართული საღამო, რომელმაც აუარებელი მაყურებლები მიიზიდა. მაგრამ მაგარი ეს არის, რომ საღამომ ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ საზოგადოებაზე. განსაკუთრებით გულწრფელი მადლობის ღირსნი არიან ჩვენი ნიჭიერი მსახიობნი ქ. ნინ. გაბუნია-ცაგარლისა და ბ. ნი ვ. აბაშიძე, რომელნიც ყოველ წლივ ჩამობრძანდებიან ხოლმე განჯაში რე მონაწილეობას იღებენ პიესის დადგმაში. დასასრულ არ შეგვიძლია, არ ვუსაყვედუროთ „კომიტეტს“ უშინაარსო პიესის ამორჩევისთვის. მაგ დალოცვილებს რაღა ჯერ დაიხოცენ და მერე დაქორწილდენ“ მოაგონდათ, როდესაც შესაძლო იყო ზევით მოხსენებული არტისტების შემწეობით სხვა უფრო რიგიანი პიესის დადგმა? საღამოზე დამსწრე უმრავლესობა ლაპარაკობდა: „მართო ფულის მობოკვას კი არ უნდა ეჭიროს პირველი ადგილი, არამედ სიამოვნებასაცო. მადლობის ღირსია გამგე საღამოსისა. შემოსავალი ფული აღემატება 900 მანეთს.

ქ. გენქესაძე.

სადგურში განჯა.

საფ. აკეთი: (გურია) სწორეთ რომ მკლავადების ბუდეთ არის გამხდარი ეს სოფელი. ერთი ხმის ამოღება არ შეგიძლიათ რაიმე საკეთილო საქმეზე! ისეთი ეპებატონები ვახლავთ ამ კურთხეულ ქვეყანაში, რომ მოსე მწერალი მონაგონიც არ არის მათზე! აქ ცხოვრებენ სამნი ძმანი ბაჭუნიაშვილები, რომლებიც ისე იქცევიან და ლაპარაკობენ ყოველ საზოგადო შეკრებილებაში, რომ კაცს ეგონება—სწორეთ ესენი არიან აკეთის საზოგადოების სიქადულიო,—მარა ვინც კი ჩაუყვირდება მათ მოქმედებას, სწორეთ ისეთი მებაღურები არიან, რომლებიც ამღერეულ წყალში თევზს იჭერენ!..

თუ ბიჭი ხართ და გაბედეთ მათი ხსენება გლახათ; ან რაიმე უსამართლობის შესახებ მიეცით შენიშვნა; მაშინვე მოვა ბრძანება: ვალახეთ ეს—და ეს კაციო—თქვენ დაგბარებენ სამკითხველოში—სამართლოს პირდაპირ და გეტყვიან: როგორ გაბედეთ ამა და ამ კაცის გაზეთში ხსენებაო, (თუნდა თქვენ ამ კაცზე კი არა, მის ღღეში გაზეთში სხვაც არაფერი დაგეწეროსთ) და ყბებს ამოგილენენ. ეს რა არის, უარეს მოვლოდეთო და გაგიშვებენ შინ!.. ამისთვის მათ ჯილდოსაც აძლევენ. ხშირათ შემხედრია გურიის სხვა-და-სხვა სოფლებში ბაასი იმის შესახებ,

რომ აკეთლებს სამკითხველოც გაქეთ, სასწავლებლიც კარგი, სასოფლო მიმოსვლოც გამართეთ და მით ხალხს გაუადვილეთ წერილებას მიღებაო, მარა მე მაინც ყველაზე გულ-გატეხილი ვარ!

მკვიდრი.

ს. ოფუჩხსეთი. ეს სოფელი ახლავს ქუთაისს 10 ვერსის მანძილზე და მდებარეობს რიონის ხეობაში რაქა-ლეჩხუმის სამხედრო შარა გზაზე. იგი შედგება ორი ნაწილისაგან ოფურჩხეთი ჭყონით წოდებული და საკუთრივ ოფურჩხეთი. სიგრძე-სიგანით იგი 4 - 5 ვერსზეა მოფენილი, და გაშენებულია სამ გვარინათ მომალლო გორაკებზე, რაც შეენიერ საზაფხულო ადგილათ ხდის მას. მოსახლეები, როგორც ყველგან იმერეთში, აქაც დაფანტულ-დაფანტულათ ცხოვრებენ, ყველა თავთავიანთ საკუთარ მიწა-წყლით შეკავებულ ეზოებში. ამ სოფელს ბუნების გარეგან შეენიერ სანახაობას მატებს ღელე რადჯაზე წყაჯაგანდნილი (ჩანჩქერი), რომელიც დაშორებულია შარა გზის რკინის ხიდიდან 250 საყენზე. გაღმოდ-ს იგი ვეებერთელა კლდიდან და აქვს სიმაღლე თვაშაქეთი საყენი და 2 1/4 აწმინი. სიფართე წყალვარდნილს 3 4 საყენი აქვს, მარა როდესაც წვიმა არ არის, წყალი ზედ მხოლოთ 1—2 არშინის სიგანეზე მოდის. ამ ღელეზე, ზევით რამდენიმე პატარ პატარა 3 — 4 საყენიანი წყალვარდნილები ორი სამი სხვადა. რიღვის წყალვარდნილის მიდამოებში და საზოგადოთ ოფურჩხეთის და მანლობელ სოფლებში გეოლოგის სიმონოვიჩის გამოკლევეთ („Геол. опис. кут. укр.“ 74 г.) მრავალგვარი მადნეულობა მოიპოება, მხოლოთ ღღემდე ვერ შეუწოწმებიათ დაბეჯითებით, რა პროცენტია ამ მადნებისა აქ და ან სახელდობ რა ჭარბობს. ამ უკანასკნელათ, ჰგონებენ, რომ ამ სოფლებში რკინა, სპილენძი და საღებავი უნდა იყოს. საღებავის მუშაობას უკვე შეუდგა ერთი ქუთათური ვაჭარი (კურცოვი) და იმედობს, რომ აქ საუკეთესო თვისების საღებავიაო. თითონ მდ. რიღვის ხეობაში მადნების მრავალგვარ ნიმუშები არის, კლდიდან გამოდის აგრეთვე წყალვარდნილის ძირში მინერალური წყალი რკინის გემოთი და გოგირდის სუნით, რომლის სუნი, განსაკუთრებით ზაფხულში, შორ გზამდე ატანს მთელ ხევში. ადგილობრივი მცხოვრებლები ამ წყლით არ სარგებლობენ, თუმცა ადგილი შესაძლებელია იგი რაიმე ავთამყოფობას უხდებოდეს. ამ წყალვარდნილის თავზე აქიმულია გვარაანათ მოზდილი მთა—სალოტაჯა, საიდანაც მოწმენდილ ღღეზე ჩანს სამხრეთ-დასავლეთით მთელი ქვედა იმერეთი, გურია-აჭარის მთებით, ქუთაისის ზო-



გეგმით მთა-გორიანი ნაწილები და აღმოსავლეთ-ჩდილოეთით რაჭა-ლეჩხუმის მოსაზღვრე ნაქერალას მთა (ტყიბულის მიდამოები) და სვამდის კლდე თვისი თვალუწევდენელი სიმალით. ამ მთიდან გადაყურებს თვალწინ გადავლენა მთელი ორი საზოგადოების (ს.ს. ოფუტოხეთის და რიონის) ათამდე მთა-გორაკებზე გაშენებული სოფლები, შუაში მდინარე რიონით გაყოფილი.

ამ წყალგარდნილის სანახავათ ქუთაისიდან მრავალნი ამოდინან, მარა ხეირიანი გზის უქონლობის გამო, მრავალთაგან ივი უნახავათ რჩება. ევროპის ან ამერიკის რომელიმე ქალაქს ასე ახლოს რომ ასეთი ჩანჩქერი ემხრობოდეს იქ; უეჭველათ, „კონკა“ მიიყვანდენ და როტონდა-გასართობებს გამართავდენ, აქ კი მის პატრონთ ბილიკიც ვერ გაუყვებოდათ 250 საყენზე, რომ მნახველები დღლის ქვებზე არ დაიძვრენ და სანახაობით ნასიამოვნები შინ დაბრუნდენ. ქუთათური პედაგოგები, რომელთა მოწაფეებს ათასში ერთს თუ უნახავს წყალგარდნილი, ურიგოს არ იზამდენ ხანდისხან თავიანთ ნებიდან ამონაკითხ-გაზვიანებულ ბუნების აღწერილობას მის კალთებზე აუხსნიდენ.

ამ სოფლის ნიეთიერ მდგომარეობას შემდეგ გავაცნობთ...

ნოვოროსისია. აქ ამ ჩვენ ნოვოროსიას ბევრი მუშა ხალხი ეტანება, ქართველობა ერთობ ბევრია, მაგრამ შიგ ქალაქში ცემენტის ქარხნის გარდა სხვა ქარხანა თითქმის არ არის და ამისთვის მუშათა უმრავლესობა იძულებულია ეძიოს სამუშაო ქალაქს გარეთ. უფრო მეტი მუშების მოთხოვნილება აქ გზებზეა. რადგანაც ნოვოროსიიდან „ვერხნი ბაკანკამდე“ აღმართა და მატარებლების მიმოსვლა ძალიან დაგვიანებულია, რკინის გზის საზოგადოებამ გარდასწყვიტა ერთი ლიანდაკის გვერდზე მეორეც დააწყოს და ამით გაადვილოს მიმოსვლა. ნოვოროსიიდან პირველი სადგური—ვლადიმეროკამდე იჯარით აქვთ აღებული ორ მეგრელებს: დ. პ.—ი და მ. რეკვავას. იშოვნეს რა ორი დღის ბრძანებლობა ეს ვაჭბატონები ისე მხეცურათ ეპყრობიან მომუშავეთ, რომ ამაზე მეტი თავგასულობა წარმოუდგენელია. ამუშავებენ საწყლებს, ამტვრევიანებენ კლდეებს და რაკი საქმე ფულის მიცემანზე მდგება, უდებენ შარებს და თითქმის იმის ნახევარსაც არ აძლევენ რაც ერგებათ. ასეთი მოქმედებისთვის ერთი მათგანი წარსულ თვეში კინალამ სიკვდილის მსხვერპლი გადა. მოთმინებიდან გამოსულმა მუშებმა ქვებით ჩაქოლეს და მხოლოდ გარეშე პირებმა ძლიერ იხსნეს აუცილებელ დაღუპვისაგან.

ვკანებ დროა აწი მაინც ჭკუას მოვიდენ ეს ვაჭბატონები და მუშა-ხალხს რიგთანათ მოვბყრან.

ა. გ.



ქეირიდან ქეირამდე

მწიკლბაში გამოსაყვანი — შრომის-სიკვდი — ერთი „საკოტეგოთ“ გამხდარი ქალაქი — „გადმოცემის“ მისი-ბელები — მანაზე დადებული — „მარტონი-ტოთ“ მოღვაწეობა — ქალაქის საქმე.

ეს ქურჩალ გაზეთების საქმეც ხათაბალა რამ ყოფილა. ერთი თანამშრომელს სანთლით დაეძებს, მასალას ქუჩა-ქუჩა კრებს და რაც კი ბალახ-ბულოხი ხელოში მოხვდება, ყველას თავის ბუღსაკენ მიაკანებს გუტენბერგის მანქანის გასაბახებლათ. მეორეს პირიქით თანამშრომლები არ აყენებენ, უგზავნიან და უგზავნიან თავის ნაწარმოებთ, ღირსთ დაბეჭდვის და გამოქვეყნების და ასე არის ეს საბრალო მასალათა მორევეში ჩაფლული და აღარ იცის, რომელი როდის დასტამბოს, რომელი სად დაატიოს და იძულებულია რამდენიმე თვეობით ინახოს და ინახოს თავის განჯინაში. პირველი ყველა თავის მოტრფილეთ ესაყვედურება რატომ მწერალი არ ხარო, აქაო და დიპლომის აღება თუ კი შეიძელი, მწერლობის „აღუბასაც“ შეიძლებო და კიდევაც აუზრინდება გინდა თუ არა ამ და ამ ნომრისთვის ერთი გადაბლომიანებული სტატია მოგვიტანეო. — დაანებე ამ პატიოსან კაცს თავი, ეუბნები ამ ძალათ მაცხონებელს, ვის გაუგონია ძალათ გარტერატორება, მარა ვინ არის შემბრალებელი! მას წინ-და-წინვე ხმას უყრიან აი, ის დაბეჭდილი უსახელო წერილი უსათუოთ მისია, თვარა სხვისა რომ ყოფილიყო თავის სახელს და გვარსაც ამდენხანს ათ ჯერ მოაწერდაო. აი მომავალ კეირაში, ან თვეში მისი ერთი შესანიშნავი თხზულება გამოვა და ახლავე ჩამოდექით, გზადაუცალეთო და ასე არის ერთი საშიშელი დღეფა ერთ ჭიქა წყალში ტეხილი.

* *

ეს ყველა ყველა, მაგრამ ქუთაისის თეითმარ-თველობა რა გზაზეა წაქცევის თუ აშენების—ეს ალღახმა უწყის. ამას წინეთ ერთი ვილაცა „პარტიის მწერალი“ დიდი რიხით, და ასე გაშინჯეთ ციფრებიოც, ქვეყანას აუწყებდა ჩვენისთანა გამკეობა მეორეც არ მოიძებნებოა. ახლა კი გამოდის, რომ ქუთაისი ვალების სახარობელაზე ყოფილა გამოკიდებულ-ი; იმერეთში ხომ ბევრი ვალი საქები საქმეა და

იმ ციფრების მოტრფიალესაც კარგათ ცოდნია ქუთათურთა გულის-საპასუხრო, როცა ამდენი ვალის მკეთებელი გამგეობა ამ საგმირო მოღვაწეობისთვის ცამდი აყავდა. არჩენებს შემდეგ, რასაკვირველია, მოუარესაც შეუძლია სიმართლის თქმა და კიდევაც თქვა: ქალაქის შემოსავლის საქმე მეტათ სამწუხარო მდგომარეობაში იმყოფება, ქალაქს არავითარი წყარო არ აქვს მოვალეები დააკმაყოფილოსო და სხვა ასეთი სასიამოვნო ამბები. და, აი, ამჟამ ატყდა ერთი ბჭობა სამჭოში, რა ჯობია, გასავლის შემცირება თუ შემოსავლის გადიდებაო. იდავეს, იდავეს და ბოლოს გადაწყვიტეს: ორივესაგან ღმერთმა დაგვიფაროსო! და ასე ის უღანაშაულო წვრილი მოსამსახურეები თავის ადგილას დარჩებიან და სალორიაც იმავე ტყიან სალორიათ, არც მეტი და არც ნაკლები. სამაგიეროთ, მოგვცათ სიცოცხლე, სკოლას, ბიბლიოთეკას და სხვა ასეთ დაბალ-ლობეს საქმე დააწიეს; პირ-ქით შესაწვევი კი არა, ნეტავ პარ-აქეთ შემოგვეწვიოდეთო — მოახსენა მათ საბჭომ და გამგეობამაც თავისუფლათ ამოისუნთქა: ახლა კი მაინც ეშველება რაზე ჩვენ ვალდებო. მართალია ერთ მოლიბერალო ხმოსანმა ჯიბეს გაიკრა ხელი, ბიბლიოთეკას ჩვენი ჯიბიდან შევეწვიოთო, მარა ეს ხელისგაკერაც სალიბერალო ხელისგაკერა იყო და მეტი არაფერი...

* *

ცოტა რამ ოზურგეთსაც ანძრევს. შარშან მთელ თორმეტ თვეს მას საქანელასავეთ აქანებდა ცარიელი ლაპარაკი და ასეთივე ცარელი პროექტები. ეს ერთ წელიწადს, რასაკვირველია, იკმარებდა თავის შესაქცევათ. ბოლოს ესეც მოსაწყენი შეიქმნა და შეუდგენ საქმესაც, მიიხედ-მოიხედეს გარეშემო და რა ნაქვს? ნახეს, რომ ქალაქის ბალი, მოედანი, ქუჩები და სხ. ადამის დროინდელ მდგომარეობაშია, ასე გასინჯეთ ბიბლიოთეკაც კი გამოსალმებია საკუთარ ბინას და სადღაც შეუნახავთ... კლუბიც, მარა რალა კლუბი, სადღა კლუბი... და, აი, ასეთ საქმეთა მსვლელობაში ოზურგეთი მაინც მსვლელობს, მაინც რალასაც აკეთებს და რომ თავს დაანებებდენ რამეს კიდევაც მოაგვარებს, მარა ვინ არის გამკითხავი, დიდი და პატარა მას ეღობება წინ და მის ზურგზე მართავს ბუქნაობას. აი, მაგ. აქ ერთი „მეეტლეთა ამხანაგობა“ და ამასაც თვითონ ეს ამხანაგობა უძღვება კარგი და პატიოსანი, მარა ახლა სხვებს შეშურებია ეს „მეთაურობა“ და მათთვის წინადადება მიუტიათ: ეს თქვენი ამხანაგობა ჩვენ გადმოგვეცითო! რატომ, რისთვის? — მიაყვირე! აქედან-იქიდან. — იმიტომ რომ თქვენ ბრიყვები ხართ, მაშასადამე საქმესაც ვერ წაყვანთ, ჩვენ ჭკვიანები ვართ და მაშასადამე ყოველივე საქმის წამყვანიც ჩვენ უნდა ვყოთო! მახლას!...

ასეთი „გადმოცემის“ მაძიებელნი, ღეთის მადლით, ყოველგან ბოგინობენ და ოზურგეთში თუ ვერა გააწყვეს რა, სამაგიეროთ ქიათურაში უკვე გაუჩარხავთ თავისი საქმე. ეს რამდენიმე წელიწადია აქ შავი ქვის მწარმოებელნი ფულს იხდიან ვითომ და ქიათურელთა საკეთილ დღეოთ, მარა ნამდვილათ კი ერთი-ორი პირის სახარჯავათ. აქ როგორც იცით წარმოებაა გაჩაღებული, მაშასადამე ხალხიც არის და ამ ხალხს მოთხარენილება (აქვე). ხოლო მოთხარენილებათა დაკმაყოფილებას კი ფული ეჭირება და ეს ფულიც გადადევს, ეს იყო და ეს, გადადევს. გადადევს ღობეს გარედან; შორიდან მოსულ ხალხსაც ეს უნდოდა და ეს „გადადებულიც“ გაფრინდა და გაფრინდა, შორს, რასაკვირველია, ქიათურიდან, ძალიან შორს და ის დღესაც მიფრინავს ქიათურელთა საკეთილ დღეთ თურმე. „თურ“-ს იმიტომ ვამბობ, რომ ქიათურელთ ამ ამბავს ზღაპრათ მოუთხრობენ და ამათაც ეს ზღაპარი ნამდვილი ჰგონიათ. ესეც მახლას!

* *

ზღაპარს რომ ჩვენში დიდი გასავალი აქვს — ეს ცხადზე უცხადესია. რას არ გამოიგონებენ, რას არ გადაასხნაფერებენ, რას არ გააზღაპრებენ. მარა ისტორიასაც თუ გააყარამანიანებდენ — ეს კი აღარ გვეგონა. და ესეც სად? სად და განათლებულ პირთა, იურისტთა საზოგადოებაში, აქო და „სტატიების“ მცოდნეთ ისტორია არ ეცოდინებათო და, აი, გასულ კვირაში თფილისის „იურიდიულ საზოგადოებას“ ერთი ქართველი მემამულე ინტელაგენტი არწმუნებდა, ჩვენში ბატონ-ყმობა არ ყოფილა და თუ რამ ამის მზგავსი იყო — ეს მამაშვილობა იყო და სხვებს, ჩვენ მტრებს, ეს ბატონ-ყმობათ გამოაქეთო! საბუთო, საბუთი! მოითხოვა საზოგადოებამ. საბუთი რა საჭაროა, განა ჩემი სიტყვა საბუთი არ არისო! — მიუგო ამ ჩვენ „პატრიოტმა“ და მით საქართველო იხსნა დამცირებისაგან. აი, ასეთი „მამულიშვილები“ გვყავს მოვლენილი ჩვენდა სადღევრძელიოთ. ზოგს ისტორია გაყავს ხეზე და ზოგს თავისი მამულ-დედული — ფულზე. გეცოდინებათ, რომ მუქრანი ორ. მილიონ ნახევრათ გაყიდა პატრონმა. ბედნიერი ვართ, ბედნიერი!

* *


ხოლო როცა გაჭირვებული ხალხი, წყალ წაღებული მხარე განკითხვას და დახმარებას თხოვლობს — იმას ეტუნებიან მოითმინეთ, რა გაჩქარებსო, ჯერ ხომ სული არ ამოგძვრენიათ პირიდანო. აი, მაგ. ლანჩხუთლები და ნიგოთლები თხოულობდენ რიონმა გაგვანადგურა და მოგვეცით რაიმე შემწეობაო.

აქის შესახებ სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარემ უკანასკნელ სხდომაზე განაცხადა: „ვერს საქარო ცნობები შეცვრიბით ამის შესახებო!“ და ასე დაიწყება ახლა გაუთავებელი მაწერ-მოწერა, დაწერენ ერთ ურემ ქალაქს, დააწერენ ორ ურეს და ბოლოს ყველას თაობზე დაწყობენ, გაკეთდა საქმეო... აქაო და ქალაქს თუ „საქმე“ აწერიაო, საქმესაც ქალაქადი უნდა! ეწერისო და უსიკვდილოთ აღარ ეყრებიან ამ ქალაქის საქმეს. ნამდვილი, ცოცხალი საქმე! ანა, ამისათვის ვის სცლია, ეს უსაქმურთა მოვანილია და ეს უსაქმური გახლავან ისინი, ვინც მუშაობს, ოდეს ღრის, ჰაპანწვეტავია და ბოლოს ყველა ეს ნაწარმ-ნაღვანი წყალს მიჰქებს... აჲ, ასე სჯიან ეს ჩვენი ვითომ და მოღვაწენი...

ანდრეს მიგზაურობა კვიროსტატითა (კვირის ბუშტი) ჩრდილოეთის შიდაუხსიყენ

მას აქეთრაც ნანსენი ჩრდილოეთის პოლუსის გამოსაძიებლათ წახული ბედნიერათ დაბრუნდა, შემდეგ ანდრემ განიზრახა ჩრდილოეთის პოლუსადის მიწვევა ჰაერის ბუშტით. 1) ნანსენი გვიბთ 88° იქით არ გაკლებია. უინულის მთებმა აღარ გაუშვეს, მაშინ ანდრემ დაწვევტა ჰაერით მოგზაურობა: მე უნდა მივალწო თვით პალუსამდეო, ესე იგი 90° (ითმბოკდაათ გრადუსამდე უნდა მივედო). ის გამოიწერა ყოველნაირი სამეცნიერო ხარიდებით, წაიღო თან ორი წლის საზოგადოება და აქვე ბურთის მკვიტრბრენის კუნძულადან. მან თან წაიყენა რამდენიმე წველი გაწაფული ტრედეტი, რომ ღრია-გამო შევიბთ ამ ტრედემსათვის მხარზე გამოვსა წერილები ტე გამოე შვა ბურთიდან. მას აქეთ ეს მეორე წელიწადი მიდის და ანდრეს ამჟამა აღარ იცოან. მისგან გამოშვებულ რამდენიმე ტრედე კიდეც მოკლეს თოვით და წაიკითხეს წერილები, რომლიდანაც შეიტყვეს, რომ ის ნანსენზე უფრო დასიკვდილობდა ჩრდილოეთის პოლუსს; მაგრამ მას შემდეგ აღარავინ იცის, რა დეშართა. ამ პოლო ღრის დეშტმა მოვიდა, რომ კამბატისკენ უბრუნეთაო ჰაერის ბუშტის მსავსის რაოდე დაწეულ-დაწეულთ და მახლობლათ სამი შედარი კაცი, ერთ მათგანს თავი აქვს დახეთკილიო. ამბობენ, რომ ეს არის სიწარბით ანდრე და მისი თანამგზაურები, მაგრამ ვერსაწყურით არა ვინ არა იცისრა, ახლა რამდენიმე მეცნიერთა წრეებში ეწვადებიან მის სტატიასა წასვლას.

1) ნანსენის ტექსტი, რომლიდანაც ჩრდილოეთის პოლუსისკენ მოგზაურობა, ეწოდება სასუდათი კრამბა.




ანდრეს მიგზაურობა კვიროსტატითა ჩრდილოეთის შიდაუხსიყენ.

ქართული სიტყვაგამოყენებული ლიტერატურა 1898 წელს. (გ ა გ მ ე ქ ე ჳ ა . *)

ვერე მაკლეთ განვიხილეთ, რაც კი რამ იყო ივერის სიტყვა კაზხულ ლიტერატურაში რაიმე მხარე შესანიშნავი; გადავალთ ახლა აკალზე*. იანგრიდან დაწეულთ მარტამდე აკალში იმეტლებოდა

ის. აკალე* № 5.



ბერბიდის მოთხრობა ქართლის ცხოვრებიდან „რა მოუვა სოსიკს“. ღარიბ სოსიკს, რომელსაც ცოლ-შვილი ნახევარჯერ მშვირი ჰყავს, დარწმუნდ გადასახადში ხარები წაართდეს. სოსიკას სიძიდრეს ეს ხარები შეადგენდენ; ისინიც რომ გაეყვითა, რაღა ემეტლებოდა? ისეხს აზრამისაჲან ორი თუმანი ფული, რაშიაც მისკა ოთხი თუმნის ყუსილი, და ხარები დაიხსნა. სიკვეში გდებით და უპაზრონიბით ხარები გალახულიყვენ; გახაფულზე ჯავა ვიღარ აირიგ შესანიშნავი; გადავალთ ახლა აკალზე*. იანგრიდან დაწეულთ მარტამდე აკალში იმეტლებოდა

ვაღო. სოსიკამ რეინის გზაზე გასწია სამუშაოთ, მაგრამ რენა დაეცა და სახლში დაბრუნების შემდეგ დაღმანს აღარ უყოცხლია. მისმა ცოლმა ტასიამ გაჭირებხსა და შვილების საცოდაობას ვეღარ გაუძლო და თავი ჩამოიღრო. ტასიას თავის მოკვლის შესახებ ჩვენ სრულიათაც ვერ ვიტყვით, რომ ეს ნაძალადევი იყო მოთხრობაში; ამგვარი ბოლო ბუნებრივი შედეგია მთელი მოთხრობის მსგავლობისა. ახლა შენ წარმოიდგინე, მითხველო, რა აუტანელი უნდა ყოფილიყო გაჭირებება, რომელმაც გვცხის ცოლს ტასიას თავის მოკვლა გადაწყვეტილი „რა

მოუფა სოსიკას“ ნათლათ გეიჩენებს, თუ რა გაჭირვებულ მდგომარეობაშია ქართლელი გლეხი. მიწის უქონლობა, სხვა და სხვა გადასახადი, რომლის გასტუმრება გლეხს ავალიანებს, თანდათან უფრო და უფრო გასაჭირ მდგომარეობაში აყენებს; შესაძლებელი რომ იყოს, გლეხი თავს გაიყიდის. თუ საშველი არ საიდან გაჩნდა, ბევრს თავის მოკვლის მეტი აღარაფერი დარჩენია, ზარმაცი რომ იყოს სოსიკა, მაშინ სულ სხვა არის, მაგრამ იმისთანა მშრომელი გლეხი ხშირათ არ მოიპოვება; თუ დღიურ მუშათ დგება, თუ რკინის გზაზე გარბის სამუშაოთ, მაგრამ უკიდურესი სიღარიბიდან მაინც თავი ვერ დაუღწევია; სულ რომ კარგი წელიწადი იყოს, ადგილის შემოსავალი ზამთრამდე თუ ეყოფა, დანარჩენ დროს ყველაფერი საყიდელი აქვს და ამიტომ უნდა მოშორდეს სახლკარს, დადგეს სადმე მუშათ, ეგები იქ ორიოდ გროშს თავი მოუყაროს. რასაც იშოვნის, კოლმეილის გამოკვებაში და შემოსევაში დაეხარჯება; მტერსა და მოყვარეს რილათი დაუხვდეს? გადასახადი რაობით გაღიხადოს? ამისთანა გაჭირვებულ მდგომარეობაში სოსიკა მომავალზე სრულებით ვეღარ ფიქრობს; მთელი მისი აზროვნება დღევანდელ გაჭირვებას შთაუნთქავს; ოღონდ ამ გაჭირვებაში სული მოიბრუნოს როგორმე და აღარაფერს აღარ დაეძებს.

ვენახები აღმოჩნდებოდა, ხელიდან არ გაუშვებდა“. სოფლის გაჭირვებამ წარმოშობა აბრამი, მაგრამ ის სოფელს გაჭირვებას კი არ უმსუბუქებს, უფრო უძლიერებს. არც მარტო აბრამია ამაში დამნაშავე: გლეხი აბრამისაგან ვალს იღებს, რომ ან მღვდელი გაისტუმროს, ან გადასახადი მოიშოროს, ან მიცვალებული დამარხოს, ქორწილი გაღიხადოს და სხვ. მთელი წელიწადი შრომობს და, არა თუ ვალის გასასტუმრებელს ვერ მოირჩენს, კუჭი თუ გამოიძლო და სარგებელი როგორმე აღიხადა, მეტს ვერ შეძლებს. ყველაზე მეტი მოთხოვნილება, როგორც ქორწილი, დამარხვა, ნათლობა და სხ., გლეხმა ვალით უნდა დაიკმაყოფილოს; ვალი ვალს ემატება და გლეხი საშველს ვეღარსად ხედავს. ქართლელი გლეხკაცის ცხოვრება ამ მოთხოვნაში კარგათ არის დახასიათებული და მკითხველს ნათელი სურათი ეხატება თვალ წინ. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ზოგიერთი ნაკლულევიანების შესახებ. ყოველი ადამიანის გაჭირვებას, ამა თუ იმ საქციელს მოთხოვნაში მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა ყოველივე ეს სოციალური პირობებით არის გამოწვეული; ჩვენ ვუკვირდებით მაშინ ამ სოციალურ პირობებს, ვხედავთ, რა უბედურებამდე მიჰყავს მათ ადამიანი, და თანდათან სურვილი გვებადება, უკეთესი ცხოვრების მოახლოვების, ერთი შეგარის მდგომარეობის გაუმჯობესებით ხელი შევუწყოთ. როდესაც ადამიანის უბედურების მიზეზი ისეთი ძალაა, რომელთანაც არაფერი არ გაგვივა, მაშინ მოთხოვნა თავის მიზანს ვერ მიაღწევს. მაგალითათ, სოსიკას უბედურებაში დიდი მნიშვნელობა აქვს სეტყვას. სეტყვა ყოფილა და იქნება, მისგან ადამიანის დაფარვა არ შეგვიძლია; სოსიკასი კი არა, მდიდარი თავადიშვილის ყანაც რომ ყოფილიყო, სეტყვა მაინც წაახდენდა: მის წინაშე ყველა თანასწორია. ამგვარი ძალის გარევა ადამიანის ცხოვრებაში მოთხოვნის ნაკლულევიანებათ უნდა ჩაითვალოს. მკითხველს შეუძლია, იფიქროს: სოსიკას უბედურება ცხოვრების ბრალი კი არ არის, სრულებით შემთხვევითია, სეტყვამ გააუბედურა, თორემ სეტყვას რომ არა, არაფერი უჭირდაო. ჩვენი მწერლები ცდილობენ, ადამიანის მთელი ხასიათი და ბედ-იღბალი მის სახელში და გვარში გამოხატონ: თუ კაცი უბედურია, მისი გვარიც უსათუოთ უბედო-შვილი უნდა იყოს („ეს ლა მაკლდა“, ე. მ.—შვილისა), თუ გულ-კეთილია და შემბრალები, გვარიც კეთილად უნდა ჰქონდეს (მწერალი „რა მოუფა სოსიკა“-ში,) თუ ხალხის მტყაფებელი, — ყველფიანელი ან ყველფიანევილი და სხვ. თუმცა ყოველივე ეს წერიმალთა, მაგრამ მაინც დიდ ნაკლს შეადგენს; როცა მოთხოვნის დასაწყისშივე ასეთ გვარს კით-

- აბა, ბატონო, ისე დაწერეთ ვექსილი, როგორც გითხარით, ეუბნება აბრამი მწერალს.
- ყაბული გაქვს, ისე დავწერო ვექსილი, როგორც აბრამი მეუბნება? ეკითხება სოსიკას მწერალი კეთილად.
- ყაბულს ვარ, შენი ჭირიმე.
- მერე იცი, როგორ მეუბნება?!
- არ ვიცი, მაგრამ....

ამ გვართ სოსიკამ არ იცის, რამდენს უწერს აბრამი ვექსილში. მაგრამ რაც უნდა დაუწეროს, ის თანახმაა. აი, რას ნიშნავს მისი დაუბოლოებელი „მაგრამ“: არ ვიცი, მაგრამ, რაც უნდა ჩაწეროს მაგის იქით გზა არა მაქვსო. სოსიკას გაჭირვებით, რასაკვირველია, აბრამი სარგებლობს, სოფელში ვაჭრობით, კაპეიკი კაპეიკზე დებით აბრამს ფული მოუგროვებია და ღუქანი გაუღია. ახლა ავალებს ფულს, იგირაებს ადგილებს და მთელი სოფელი მისი მოვალეა. „გაილწებოდა თუ არა ჭირნახული, ურმები დაიძროდნ სოფლებიდან და ურემა ურემზე იღდა აბრამის კარზე სავზე ტომრებით დასაპალნებული... აგრეთვე რთველზე აბრამის სახლს ხშირათ მოადგებოდნ ურმები ყურძნით და ხილით სავსე გოდრებით. ასეთ სარგებელს აბრამი მალე ფულათ აქცევდა და, სადაც კარგი ნაპატივარი ნაფუხრები და



ხულობთ, წინდაწინვე იცით, რას უმზადებს ავტორი თავის გმირს, რის გამო თქვენ ხალისი გეკარგებათ, მოთხრობასაც ბუნებრივობა აკლდება. ავტორმა თუ თავისი გმირი უბედურ ვარსკვლავზე დაბადა, უსათუ-ოთ უბედურათ უნდა მ. ჰკლას, რომ მთელ ტანჯულ სიცოცხლეში არაერთხელ მხიარულების და ნუგეშის შუქმა არ შემოანათოს მის ბნელ ცხოვრებაში. ესეც ცალ მხრივობაა და სინამდვილეს მოკლებულია: რა უბედურიც უნდა იყოს ადამიანი, ერთი დღე მაინც შეხედება ისეთი, ან აწმყოში, ან წარსულში, როცა ის იფიქრებს თავის უბედურებას, როცა სინარული მის სახესაც მოაშუქებს და ოდნავ მაინც დაჭყარავს სევდისა და ტანჯული ცხოვრების ნაოჭებს.

„კვალის“ შარშანდელ ნომრებში შ. არაგვის-პირელს ჰქონდა რამდენიმე ეტიუდი. რადგან ამ ეტიუდებს იღვით კაკშირი აქვსთ ავტორის წინაწლების ეტიუდებთან, ამიტომ მართო რამდენიმე ეტიუდის შესახებ სიტყვის გაგრძელება საჭიროთ არ მიგვაჩნია. აქ ავტორს გამოჰყავს თანამედროვე ცხოვრების ნაკლებულეგანებანი, ადამიანის უსაშუალო მდგომარეობა, გაჭირება, ფუქსავატობა, შეუბრალებლობა, იმის ცხოვრების სიფუჭე და სხვ. აღდგომა, ყველა მხიარულობს, ყველა ერთმანეთს ულოცავს: ქრისტე აღზდგა, სიკვდილითა სიკდილი დათრგუნაო, საცოდავ დედას კი თავისი ერთათ ერთი შვილი „ბაბლო“ უკვდება; —სხვისი ჭირის თანაგრძნობა, სიკვდილთა სიკვდილის დათრგუნვა ცარიელი ილიუზია ყოფილა! მეორე ეტიუდში ავტორი დავანახებებს ჩვენი რამოდენიმე ახალგაზდის ცხოვრებას, რომელიც მხოლოდ სმა-ჭამაში და ქეიფში გამოიხატება, და გულ-დათუ-თქული იძახის: ესცხოვრობთ, ესცხოვრობთო. და მართლაც, თუ ჩვენი ცხოვრება ამის მეტს არას წარმოადგენს, ვანა ეს ცხოვრებაა?! ამ გვარ აზრში ჩვენი ცხოვრების შესახებ ბ. არაგვისპირელს ვერ დავეთანხმებით. ვინ ამბობს, არის ჩვენ ცხოვრებაში სამწუხარო მოვლენები, არიან პირები, რომელთა ცხოვრება ყოველგვარ ადამიანურ ღირსებას მოკლებულია, მაგრამ ერთი მიბრძანეთ: ამგვარი მოვლენები სად არ არის, რომ ჩვენ, ქართველებს, აგვეცდინა თავიდან? სამწუხარო სურათებთან სანუგეშო მოვლენებსაც გვიჩვენებს ჩვენი ცხოვრება. და, ვინც მართო სამწუხაროს ხედავს, ან მართო სანუგეშოს, ის ყოველთვის შეცდომაში შევა. ერთ ეტიუდში, „ზა, ზა, ზა, რა სულელიხანაო!“ ორ ახალგაზდს ერთმანეთი უყვარს; ბედნიერება ახლოს არის, ორივეს უნდა ბედნიერება, ორივეს სრული უფლება აქვს ბედნიერა იყონ, მაგრამ შეუბრალებელი სიკვდილი უარყოფს მათს ბედნიერებას. ყოველივე ეს ხომ უსამართლობაა, შეუბრალებლობა, მაგრამ ადამიანს და-

მორჩილების მეტი არაფერი არ დაჩინია; მასი ბედნიერება სრულიად ფუჭია, უნიადაგო; ის იტანჯება, წვალობს, მაგრამ მისი ტანჯვა ბუნების მხიარულებას ოდნავაც არ არღვევს: როცა გულამღვრეული ადამიანი მოკამკაშე ცას ეუბნება, „შენ გულს ადამიანის ტანჯვა არა წედებაო, ვარსკვლავები ციმცი-მით გადმოძახებენ: რა სულელი ხარო! ე. ი. რა ჯავრი აქვს ბუნებას შენი ტანჯვისო. ეტიუდში „რა ზიზლით მიცქერის?!“ იგივე უნუგეშობა და უკმაყოფილება არის გატარებული. ვიგლა ადამიანია, შიშილით კედება, მაგრამ ცხოველთა მფარველი საზოგადოების წევრიც კი არ იბრალებს, რომელმაც მეჯავრეს მთელი ოქმი შეუყენა, აქაო და ცხენს ცოტა მძივე ტვირთი დაუდევია. მესმა მოკლა ვიგლა, მაგრამ სიკვდილის შემდეგაც „მხოლოდ ზიზლი, ზიზლი და ზიზლი შეგეძლოთ ამოგეკითხათ გლეხის ოდნავ გახელილ თვალეში და მოლიმარ ტუჩებში“. „გულცივობამ!“ —ში საზოგადოებაზე ჩივილი უმაღლეს წერტილს აღწევს. ვაბრო საზოგადოებაში მხოლოდ გულქვაობას, გულცივობას, ფილიდობას, მოლალატეობას, სუსტის განადგურებას და ძალმომრეობას ხედავს, მეტს არაფერს; ყოველივე ამან მას რწმენა დაუქარგა მომავლისა და არაგვის ზვირთებში ეძებს განსვენებას. აშკარაა ვაბრო სწეული ადამიანია; შეიძლება საზოგადოება ძალიან დაცემული იყოს, მაგრამ ვაბრო თუ ზვირთებში ეძებს განსვენებას, ამაში მართო საზოგადოება არ არის დამნაშავე. ან რა შუაშია ეს მომავლის რწმენა? თუ საზოგადოებას მომავალი ბრწყინვალე გვირგვინს არ უქადის, ნუ თუ ეს უფლებას აძლევს ადამიანს, საზოგადოების სამსახურზე ხელი აიღოს, თუ კი სამსახური შეუძლია? ეჭირება საზოგადოებას სამსახური, შეველა, დახმარება? შეგიძლიათ ემსახუროთ? თუ მას შეველა ეჭირება, ეს სრულიად საკმარისი საბუთია, რომ მიეშველოთ, თუ კი შეგიძლიათ, მიუხედავთ იმისა, რა მოვლის მას მომავალში. ნუ თუ მშიერ ადამიანს პურს არ მაწოდებ, მკითხველო, თუ კი გაქვს, მხოლოდ იმ მოსახრებით, რომ ამ მშიერს მომავალი ფილოსოფოსის სახელს არ უმზადებს? ყოველგვარი სამწუხარო მოვლენის უგულო მაყურებელი კი არ არის ბ. არაგვისპირელი, — მას გული ვთუთქება, სევდით და უნუგეშობით ევსება. ამგვარისავე სევდით და უნუგეშობით არის გამსჭვალული სიმატიური პოეტი — ი. ევლოშვილის პოეზია, რომლის ფსიხოლოგია თითქმის გამოირკვა. ჩვენ არ შეგვიძლია ვერცლათ ვაჩივრდეთ იმის ლექსებზე, რომლებიც წარსული წლის კვალში იბეჭდებოდნენ, რადგანაც მათი მოტივი იგივეა, რაც ავტორის წინანდელი ლექსების და ამიტომ პოეტის დასახსიათებლათ საჭი-

როა მთელი მისი პოეზიის განხილვა და არა ერთი წლის. აქ მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ, მისი შარშანდელი ლექსების მიხედვით, რომ ევლოშვილსა და არაგვისპირელს შორის დიდი მზგავსება არის. ევლოშვილის მთელ ყურადღებას ცხოვრების სისაძაღვე, გაუტანლობა, შეუბრალებლობა, ფულის გაბატონება, ღარიბის ტანჯვა და წიაღება იპყრობს. ის ხედავს, რომ ყველა—მდიდარიც და ღარიბიც—არსებობისათვის იბრძვიან, ერთმანეთის სიბრალული, თანაგრძნობა, გატანა არავის არა აქვს. ის უყვირდება ცხოვრებას და ამჩნევს, რომ არა თუ ადამიანები, თვით ცხოვრებაც შეუბრალებლათ ანადგურებს ყველა გაჭირებულს და სასოწარკვეთილი იძახის:

ჟი! ძმობიღნო, მითხარით: კადექ
 რამდენმა უნდა გამოაჩრას
 ამ ტანჯვის გზაზე, გლეგოთის ჟვარით ო,

მაგრამ ხვას არავინ ცემს, თითქოს ეს ტანჯვის გზა სამარადისოთ ასე უნდა ღარჩესო.

უფსკრუდის ზიარას, თვით განსაცდელში
 წამოჩრქილი ეკლასნს გზაზე პოეტი სიყვარულს
 იწვევდა — და საღვრცავით

წა მოიტყუდა მსოფოთ მის სსხედს. მაგრამ კერძო ცხოვრებამ მას არ არკუნა ბედნიერება: ცხოვრების გრიგალმა არც ის დაინდო და დღეს

თვით „სიყვარული“, ამ სიტყვის ბეკრ
 აწ გუფს მოქსმის გლეგისა წარათ. პოეტმა

თვითონ დაჰკარგა სიყვარული, მაგრამ ასეთ უნუკეშობაში არ ჩაეარდებოდა, თავის გარეშე მო რომ მაინც ხედავდეს სიყვარულს; სამწუხაროთ ფულიმა ყოველი ფერი დაიმონაფა და წმინდა სიყვარულის გვირგვინსაც კი შეებო თავისი უწმინდური ხელებით: ფულით სიყვარულს ყიდულობენ, მხოლოდ ფულიანი უყვართ! პოეტი განაბული ყურს უგდებს ცხოვრების ტრიალს, იტანჯება, მაგრამ მისი ტანჯვა არავინ იცის; თავის სამარეს ის თავის გულშივე ახევეს, რადგანაც ეშინია, რომ ვერავის რას აგრძნობიებს, და მწარეთ იძახის:

ასე მიკდივარ მე ჩემს გზაზე ობოლი ეტლით,
 მე მსუქს მიუკარდეს მოშორებით, სხდნის ფარულათ.
 დე, ზოგი წუკვლით, ზოგი სიმთა ამონაკვანისით
 ამოიცაღას ჩემი გული, წავიდე სრულათ!

პოეტს უნდა დაივიწყოს, გაშორდეს დედამიწას.

მაგრამ გლეგ თვარნი იზიადვან დედამიწისკენ;

მას კი არ ძალუძს, ადამიანის უბედურებას რაიმე მხრივ შემოაუაროს


და ასე ობოლად დაჯანგაღეს ბედის ამარა.

ვის ამტყუნებს პოეტი ადამიანის უბედურებაში?— ადამიანს? არა, პოეტს ყველა ებრალება—ტანჯულიც

და მტანჯველიც, დაჩაგრულიც, დამჩაგრელიც, სიყვარულის მყიდველიც და გამყიდველიც, რადგანაც ყველა ესენი ცხოვრების ცვალებადობის ნაყოფი არიან, და პოეტიც მხოლოდ ამ სოციალურ პირობებს ემდურის, რომლებმაც ამდენი უბედურება და უსამართლობა წარმოშობა. პოეტი გრძნობს, რომ რაღაც ძალა ცვლის ცხოვრებას და ჰბადებს მრავალ უთანხმოებას, რა არის ეს ძალა, მას ვერ შეუგნია ნათლათ, ხოლო გრძნობს კი, რომ მასთან შებრძოლება არ შეუძლია. ამის მიზეზაა, რომ ის გულჩათხრობილი, მარტოთ მარტო დაკანკალებს. გენიოს ბაირონს სევდა უღრღნიდა გულს, მაგრამ ის ბედნიერი იყო, რადგანაც ძალას გრძნობდა და მთელ საზოგადოებას ერთმა გამოუცხადა ბრძოლა. მე ევლოშვილს ბაირონს კი არ ვადარებ, მაგრამ ევლოშვილის ნიჭი ბაირონის ნიჭსაც რომ აცილდეს, მაშინაც ობლათ დაიწყებს პოეტი კანკალს, რადგანაც გრძნობს იმ რაღაც ძალის ძლიერადოსილებას, რომელიც ჩვენ ცხოვრებას ცვლის და ბევრს უნუგეშო სურათებს ჰბადებს. რაც ტანჯავს ევლოშვილს, იგივე ტანჯავს არაგვისპირელსაც; არაგვისპირელიც ცხოვრებას ემდურის და მის უსამართლობას, ხოლო რაღაც აუცილებელი ძალის გრძნობა, რომელსაც ემორჩილება ეს ცხოვრება, მის ეტიუდებში არა ჩანს. არაგვისპირელის სევდაში ცხოვრების გარდა ადამიანის ბუნებას და მის არარაობასაც წილი უდევს: ცხოვრება რომ ყველას საბედნიეროთ იყოს მოწყობილი, არაგვისპირელის სევდა მაინც არ გამოილევია, რადგანაც სიკვდილი ყოველთვის იქნება და ყოველთვის შეწყვეტავს ადამიანის ბედნიერებას.

ივ. გამბართელი.

(შემდეგი იქნება)



პ ი რ ი მ ზ ი

რო მ ა ნ ი

ნაწილი I.


ბატონ შოშობის დრო.

IV.

(გაგრძელება) *

ბატონული გადიოდა. სიმილი მოეტეხათ და რევაზის ეზოში გაურჩეველი ტაროების ზვინები დიდ ხეებთან იდგა. სადილობის დრო იყო. თ. რევაზს სიც

*) ის. „გაგაღი“ № 5



ხისაგან გარეთ ველარ გაედლო და გაფარფაშებული პერანგსამარა გორავდა ტახტზე. იქვე კედელზე იმისი თოფ-იარაღი და მათრახი იყო მიკედებული. ხელში გძელი ჩიბუხი ეჭირა და ზარმაცათ ეწეოდა. მოშორებით ანასტასიას მუნღლები მოეკეცა ტახტზე და გიტოს კაბას კერავდა. გიტო ახლა კარგა მოჩიჩქვინებული გოგონა გამხდარიყო, ასე რვა წლისა, მაგრამ დედას ჯერ კიდევ წიგნის კითხვა არ დაეწყებინებია. იმ დროს ის ნაფოტებით სახლის შენებაში იყო გართული. დროსა და დროს განმავლობაში ის ბატონურათ შეუძახებდა თავის გოგოს მარინეს, რომელიც იქვე ხელს უწყობდა, ნაფოტებს უზიდავდა თავის პატარა ქალბატონს. „რას შობი გოგო?... მანდ კი არ უნდა ეგ ნაფოტი, აქ დადევია!..“ ამ დროს მარინეს უნებურათ ხელი მოუხვდა აშენებულ ნაფოტის კედლებზე და ერთი საათ ს ნაცოდელივე ერთ წამს დაანგრა.

„უიმე—დაიყვია გიტომ—დედა, მარინე არ მაყენებს, სახლი დამინგრა!“—წუწუნით შეჩივლა ანასტასიას თავისმა ასულმა. —მარინე, მარინე!.. მომეცა ლეთის წყალობა, მე შენ კარგათ გაგჯობო!.. შეხედე ახლა ამ უჯიშოს შეილს. ორ წამს ისე ვერ მოთვისდება ბოეშთან, რომ რამე არ დაუშეგოს და არ აატროს.— წყრომით შეძახა ანასტასიამ. მარინე აიფხორა, ნაფოტები ხელიდან დაყარა და თავი ჩაპკიდა.

„მარინე, მომეცი მაგი ნაფოტები“—განაგრძო გერიტიამ, რომელიც გრძნობდა თავის დანაშაულობას და უნდოდა მალე შერიგებოდა.

ამ დროს ბაკურიძემ კრუსუნით ფეხი ფეხს მოატყა, გვერდზე გადმობრუნდა და დაიყვია: „ბიჭო!.. მეორე ოთახიდან მოისმა მითრთოლვარე ხმა!“—ბატონო! ოთახში შემოვარდა თმაგაწეწილი ცამეტი წლის ბიჭი, რომელსაც გაცვეთილი ლურჯი ლაინის პერანგი ეცვა და დაგლეჯილ სამოსში ტიტყველა მუხლებს გამოეყრათ თავი. „წადი თხილის ტოტები დაამტვრიე“—უბძანა, რევაზმა. მერე თავისთვის ხმა-დაბლათ ჩაილაპარაკა: „ღმერთო, ამ ბუზებმა საქმე გამიჭირვეს!“ პატარა მოსამსახურე ბიჭმა შემოიტანა ერთი პატარა კონა ფოთლიანი ტოტები, დაუჯდა რევაზს ფეხთით და დაუწყო ბუზების მოგერება.

ამ დროს შემოიძმართა ოთახში ერთი მალალი ტანის, გძელ უღვაშებანი კაცი. ძველი ქუდი თავზე ეხურა. ის იყო პირხმელი და ჭალარა. პატარა მარდი თვალელები ღრმათ ჩაეარდნოდა წარბებ ქვეშ და ზედ ბოყესავით გადმოფარებოდა განიერი შუბლი. მარჯვენა ხელი უბეში ჩაიდვა, ფეხი განზე გადგა და მოწიწებით წადგა ბატონის წინ, შემდეგ მაგრათ ჩახველა და დაიწყო:

— ბატონო, ხაბაზს გააცხელა და გამოცხობი არაეინ გეყავს.

— როდის გააცხელა?...—წამოიძმართა ბაკურიძე.

— ჯერ, ბატონო, გუშინაც აცივებდა, მარა დღეს ისეთი ავთ შეიქნა, რომ ფეხზე ველარ დადგა; სიცხისაგან გათარანებული იყო. რას ეიზამდა, შინ გაუშვი. აქ რომ გამეჩერებინა, უარესი იქნებოდა, ტყულა თქვენ შეგაწუხებდათ—დაიწყო თავის გამართლება მოურავმა, თოქოს მორიდებოდეს ბატონის წყენას: ჩემ დაუკითხავათ რათ გაუშვიო?

— ახლა მშვიერი უნდა დაერჩეთ დღეს?... შეუძახა ბაკურიძემ.

— დღესთვის კილო გახლავთ ნამცხვარი; მარა მერე კი აღარ გეექნება.

— პეტრიელა სად არის!

— აქ გახლავთ... მარა... არ შერება... არ გამოვაცხობო... იმიტომ რომ გამოცხობა ბეგრათ არ მადევსო. ჩვენ გვარს მის დღეში არ დებია და არც მე დავიდებ ბეგრათ ხაბაზობასო.

— წადი, დაუძახე—გაჯავრებით უთხრა ბაკურიძემ.

მოურავი გარეთ გამოვიდა.

— შეხედე იმ ეშმაკს შეილს!..—გაცეცხლებული თვალელებთ გადმოხვდა თავის ცოლს ბაკურიძემ, თითქოს უნდოდა დარწმუნებულყოფა, ანასტასია თანამიგრძნობს, თუ არაო. მაგრამ ანასტასიას თავი არ აუღია საკერავიდან, მხოლოთ კერვას მოუჩქარა და ეს მღელვარების ნიშანი იყო.

— ანებიერე ამისთანა გველის წიწილები, ჩააცვი, ასეი, აჭამე!.. ვითამ დაგისწავლიან თუ?... ეს კი არა, თავზე დაგაჯდებიან... სულ კბილებს დავამტვრეე მაგ ეშმაკის შეილს. მე ვაჩენებ მაკას, როგორც უნდა მორჩილობა.—უცებ წამოხტა ზეზე ბაკურიძე, ხელეზი დაიმუჭა და ტახტზე დაჯდა.


— აბა, თუ არ მართებს, ღმერთანი, რაზე გამოგიცხობს?— წყნარი ხმით წამოიძახა ანასტასიამ და თავი საკერავიდან არ აუღია.

— შენ!.. შენ ვაჩუმიდი!.. შენი საქმე იგია, რასაც აკეთებ.—მიუთითა საკერავზე.

ამ დროს ოთახში შემოვიდა ახალგაზდა ოცი წლის ვაჟა, ბეჭებ-განიერი და ჩინებულათ ჩასხმული. სახეზე თურაშაული ვაშლივით იყო შეწითლებული. შავი კოკობი უღვაშება ამაყათ აეწიპა და ტანზე ყვითელი შალის ჩოხა ეცვა. იმას მოურავიც თან შემოაკეცა.

— შენ ბრძანე, არ გამოვაცხობო?—შეუტია გაჯავრებულმა ბაკურიძემ.

— რა ექნა, შენი ჭირიმე, გამოცხობა ჩვენ პაპას არ მართებია და არც მამა ჩემი აცხობდა...



— მითხარი, თვითღისში რომ ეგდე, ხაბაზობა არ გისწავლია?

— თვითღის ქალაქს სულ სხვა იყო. იქ ჩემთვის ვმუშაობდი. რაცხას კაცი თავისთვის იჩამს, იმას ბატონისთვის რაფა იჩამს? მომთხოვე, შენი ჭირიმე, თუ რამე მმართვეს, მომთხოვე. თუ არ აგისრულო, რაც გენებოსთ, ის მიქენით და, რაც არ მმართვეია, იმას ვერ გავაკეთებ...

— აბა, რომ გიბძანო, არ გამოაცხობ? — ჰკითხა ბაკურიძემ, რომელიც სახეზე ანთო და თვალები ისე გადმოუჭიმა, რომ შეგეხენდა, იფიქრებდი, ეს არის საწყალი პეტრიელა უნდა ჩაყლაპოსო.

— რა ექნა, შენი ჭირიმე, არ მმართვეია და... ჩემი ბეგარა თვითონ მოგეხსენებათ, კვირაში ორ დღეს გამოვდივართ ხარ-ურმით სამუშაოთ ალოზე, მე კიდევ ნიადაგ თქვენთან ვახლავარ. თქვენთვის, შენი ჭირიმე, ცეცხლში ჩადგები, მარა რაც არ მმართვეს, იმას სწორეთ ვერ გავაკეთებ.

— აბა, თუ არ გააკეთებ, მე გავაკეთებებ. — უცბათ მოაგელო ხელი მათრახს, რომელიც კედელზე ეკიდა და ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი უფელვა ზურგზე პეტრიელას და თან დაჰძახოდა! — მას აქეთ, რაც ქალაქს წახვედი, სულ წახნდი, კაცის შეიღს აღარ ჰგავებარ.

— აი, აი, აი!.. რევაზ, მამიშენის სულს გაფიცებ, გვრიტია ნუ მოგიკვდება, თავი დაანებე — შეპკიელა ანასტასიამ. ერთი ხელი თვალებზე მიიფარა და მეორე, რომელშიაც ნემსი ეჭირა, რევაზისკენ გაიწვინა.

— ანასტასია, გადი ახლავე მეორე ოთახში — გაბრაზებით შეუყვარა ბაკურიძემ. — გითხარი, შენი საქმე არ არის, თქვა... გაიყვანე ეგ ბაღანაც...

რევაზ-ს მეუღლე, თავბრუდარსებული გავიდა მეორე ოთახში და თან აზურვლებული გვრიტიაც გაიყვანა.

— მომკალი, ბატონო, თქვენ ხელში არავართ?... მაგრამ გამოცხობით კი არ გამოვაცხობ. რაც არ მმართვეს, არ ვიჩამ... არა... არა... და არა. მომკალი, მაგიერს ხომ ვერაფერს გკადრებს.

— შიუკელა, წაიყვანე, ეგ მყარაო და ხულაში დააწყვიდე. ნურც ასმევე, ნურც აქმევე, სანამღს არ მოიტეხიოს და ყველა არ გააკეთოს, რაც უნდა დაასაქმო — უბრძანა გაჯაერებით ბაკურიძემ.

მოურავმა სწრაფათ გაიყვანა, გალახული პეტრიელა, რომელიც თითქოს ჯინში უდგა ბატონს და სულ იმას იძახოდა: არ გამოვაცხობ... არა... არა... არა!..

ბაკურიძემ გაჯაერების გამო ქმინვა დაიწყო, პირიდან დორბლი წამოუვიდა, ერთ ადგილს რომ ვერ გაჩერებულიყო, დაიწყო ფეხტ-ტეგლა სიარული და თან იძახოდა: მე შენ გაჩვენებ სერის. ოთახში ამოვიღებ!.. ცოცხლათ ტყავს გაჰპარობ!.. კარგა ხანს იარა ბაკურიძემ ასე აღელვებული ოთახში; ბოლოს, როცა ძალიან დამშვიდდა, პირის სახე გადაეწმინდა, დაჯდა ტახტზე და აპოლოთ თავის ჩიბუხი. ამ დროს პატარა მოსამსახურე ბიჭი ისე კრძაღვით შემოვიდა ოთახში, რომ თითქოს კარები არც კი გაუღიაო.

— სადლი მზათ ვახლავთ...

— მოიტანონ!.. — თავისთვის წაილაპარაკა რევაზმა, რომელსაც ჩიბუხისთვის პირი არც კი მოუშორებია, თითქოს ამითი ამტკიცებდა, აბა, რა ღირსია შენისთანა მატლი ჩემი ხმის გაცემისაო...

— ანასტასია გამოდი, სადლი ქამეო — დაუძახა ცოლს.

— არა, არ მინდა — წამოიკრინა მეორე ოთახიდან ცოლმა მისთანა ხმით, თითქოს გულზე ლოდო დაწოლოდეს.

— თუ არ გინდა, ჭირი მომჭამე — თავისთვის წაილაპარაკა ქმარმა. მეორე ხმამალა შეჰყვირა: „შენ თუ არ გინდა, ეგ ბაღანა მაინც გამომიგზავნე, გიტო, მოდი, გენაცვალე, სადლი ქამე — დაუძახა მამამ.“

პაწაწა ქალი გამოვიდა ცხვირგაწითლებული და ცრემლიანი თვალებით, რომელთაც ორივე ხელებით ისრესდა. გვრიტია მოვიდა წყნარათ მამასთან. ამან კი მუხლზე დაისვა, თვალები ამოუწმინდა და ლოყაზე აკოცა. გვრიტია სრულებით დაწყნარდა და სადლს რომ შეხედა, ისეთი მხიარული სახე მიიღო, თითქოს თავის დღეში არ ატირებულიყო.

სულ ყოველთვის არ ექცეოდა ასე თიცბათ რევაზი თავის ბიჭებს. როდესაც იმისთანა დროს შეიხედებოდა, რომ მთელ დღეს შინ ატარებდა მოსვენებით და არაფერს გააჯაერებდა, მაშინ სადლი-ვანამაზე ყოველთვის გამხიარულებული იყო. ის დაუწყებდა თავის შინაყმებს ხუმრობას და იმისთანა რასმე ეტყოდა, რომ რაც უნდა წარბშეკრული ბიჭი ყოფილიყო, მაინც გაიღიმებდა. ხა-და-ხან მოწყენილი ანასტასიაც ვერ შეიკავებდა სიცილს და მაშინ ქმარს დაუწყებდა ხეწნას. კარგია თავი დაანებეო, თითქოს ამით ვიზნებოდა, აბა, მხიარულება რა ჩემი საქმეა! მწუხარების დღეს დავბადებულეარ და მწუხარებით უნდა გავატარო ეს წუთისოფელიო — საყვედურის კილოთა იტყოდა ანასტასია, რომელიც არაოდეს არ იყო ქმრის უზღელი ყოფაქცევით კმაყოფილი. სადლილათ რომ დასხდებოდენ ხოლმე ჩვეულებათ ჰქონდათ, ხელსაბანი წყალი უნდა ჩამოეტარებინათ. ფარემს მხარზე საწყლე ჰქონდა გადაკიდებული, ხელში ეჭირა თუნგი და მარცხენაში ტაშტი. როცა რევაზი ხელს დაიბანდა, მაშინვე პირსაც გამოირეცხდა ხოლმე და მოსამსახურე ბიჭის ჩამალევით პირში წყალს დაიგუბებდა და თითოთ ანიშნებდა კისერი მომცხილეო. მსახურიც მაშინვე დადგამდა თუნგსა და ტაშტს, მოწიწებით მიუახლოვდებოდა ბატონს და გულში ფიქრობდა: „ღმერთო ერთი ის მკებნარი მაპოენიე მის კსერზე, რომ ბატონს ვასიამოვნოო“. მაგრამ უცრათ რევაზი შიგ ცხვირპირში შეაშხეფებდა წყალს მოსამსახურე ბიჭს. ატუდებოდა საერთო სიცილი და მხიარულება. ვიტოს ხითხითით კურცხლები ცვიოდა. ამისთანა ხუმრობაზე გვრიტია ყველაზე აღრე გადიკისკისებდა. თვითონ შინაყმა, წყლით გაწუწული, იქნება გულში სულაც არ იყო ასეთი ხუმრობის გუნებაზე; მარა ისიც სარცხვილისაგან ყველის ვაქარივით იკრიკებოდა. ამისთანა ხუმრობა რევაზმა ახალგამოყვანილ ფარეშთან იცოდა, რადგან ის ჯერ კიდევ ხამი იყო, ბატონის ხასიათი არ იცოდა და

ადვილათ ტყუედებოდა; ძველ მოსამსახურეებს კი იმისთანა რასმე ახალს გამოუკონებდა, რომ ჯერ არ გამოეცადათ და ადვილათ მოტყუებულ იყვენ. რადგან რევანს ოჯახში საქმე არა ჰქონდარა, თუ სანადიროთ არ წაივლიდა, ამისთვის მთელი დღე სულ იმის ფიქრში იყო, რამე ახრებულა ხუმრობა მოეგონებინა და თავის ქალი გავხალისებინა. ხან-და-ხან ბატონის ხუმრობა მეტათ სასტაკიც გამოვიდოდა ხოლმე. ფარეში სიცილის მაგიერათ ცრემლებსაც კი დაატანდა. მაგრამ გიტო და მთელი ბატონის ოჯახი მაინც სიცილისაგან აღარ იყვენ. ერთხელ რევანსა სამკაპეიკიანი ვაახურა და ბოხრის თავზე დადვა. პატარა ბიჭს დაუძახა და უთხრა: „ბიჭო, ეგერ ბუხრის თავზე რომ დევს, ის სამკაპეიკიანი შენთვის მიჩუქე ბია, წაიღეო. ბიჭს გავხარდა ბატონის წყალობა და სტაცა ხელი სამკაპეიკიანს; მაგრამ ცალი ხელი რომ დაუწვა, მერე მეორე ხელი მიაშველა, მეორეც რომ დაწვა, უცბათ ვაგდო სამკაპეიკიანი და დაიწყო ხელებზე სულის ბერვა. გიტომ აიტეხა ჩვეულებრივი ხითხითი, სხეებიც, იქ დამსწრენი, ძალიან გამხიარულდნენ. პატარა ბიჭი კი სიმწრისაგან ცრემლებს ღვრიდა.

V.

შუადღე იყო. მზე თან-და-თან უფრო აჭერდა. ჭიჭინობელას ჭიჭინით ექაურობა ჰქონდა აკლებული. ყურძნის ტვენები თხმელისა და ვენახის ფოთლებში ლამაზათ გამოიციქირებოდნენ. „შურრო!.. შურრო!.. შურრო!.. იძახოდნენ შაშვეები, როცა ერთი ხიდან მეორეზე გადაფრინდებოდნენ და თან: „ჩუპ, ჩუპ! ჩუპ, ჩუპ“, თითქოს ერთმანეთს აფთხილებდნენ: ჩუმათ, თვარა ბაკურიძემ თუ ვაპოილეიძე, ყურძნის ქამას დაგვამწარებსო...“ სხვა წვრიშალი ჩიტებაც ჭლივილიც გაუსწყვეტლათ ისმოდა. რევანს ასი წლის მუხას ქვეშ გავფინა ხალიჩა და პერანგის ამარა ჰგორავდა. ფეხთით პატარა ბიჭი უჯდა და ნეშოიანი თხილის ტოტებით ბუხვებს უკერებდა, თუმცა ისინი სულაც არ ევაობოდნენ თხილის ნეშოების ნაზათ ქნევას.

ის იყო, ბატონს გამოღვიძებოდა და თვალებ-ჩამოშვებული შეჩერებოდა თავის ტიტველ ფეხებს. ამ დროს პატარა ბიჭმა მიწამდის დაუკრა თავი ბატონს, რომელმაც მოწყალების მაგიერათ ფეხის ცერი ჰკრა თავში. პატარა ბიჭი გაფოცებული წამოვარდა და მოჰყვა თავის ფხანას.

— წადი, შე ძილის გულა, წყაროს წყალი ამოიტანე! — შეჰძახა ბაკურიძემ და პირი გააწყლავუნა, ეტყობოდა, რომ შუადღის ძილს შემდეგ პირი გამორობოდა.

ამ დროს, საიდანაც იყო, მოვიდა მოურავი და ბატონის წინ გამოიჭიმა.

— შიუკელა, რას იტყვი კარგს? დაწყნარებით ჰკითხა ბაკურიძემ თავის მოურავს.

— ამისთანა უბედურება არ ნახულა, ბატონო, რაც მე დამემართა. ხულაში წაველა, პეტრიელა მინდოდა მენახა ეს მეორე დღეა, არ მიეკარებივარ, მარა შენს მტერს! ბიჭი გაქცეულა! ხულის ჭერი აუყრია, ხელიკსავით ამძვრალა ზევით და საცხა წასულა, კაცმა არ იცის!

— რას ამბობ? როდის მოხდა ეგ ამბავი? — დახა ბაკურიძემ და სწრაფათ წამოჯდა.

— ამალმ თუ მოხდა, თვარა გუშინ ხულაში იყო, მე კარგათ ვიცი.

— მერე არ აფრინე ვინმე ამის დასაჭერათ? — ჰკითხა სივერაგით ბაკურიძემ.

— სად უნდა მეფრინა? ბლაგვადის ბიჭი მოვიდა ქ. ქვიანადან და იმან მითხრა, წინ შემხვდა, ქ — მიდიოდაო.

— წადი და ჰდიე კულში! — გაცოფებით წამოიძახა ბაკურიძემ, რომელსაც თვალეზი დაუხსისხლიანდა და ჯავრით არ იცოდა, რა ექნა. — ხომ გითხარი, რომ მაგ საძაგლისგან ხეირი არ გამოვა-მეთქი... დაიკარგა ჩემი ხელიდან და ეს არის... მაგას აწ ხელს ველარ მოვკიდებთ... არა! ეგ არ არის დანაშაული ამ საქმეში... მაგის შინაურობა უფრო დანაშაულია... ტუპ, ტუპ, ტუპ! სულ ის არის, ის უნაშუსო დედაკაცი, მაგისი დედა! იმან უფრო ააგულიანა! მოიკადოს, მე იმას ვაჩვენებ, როგორც უნდა აგულიანება!

მოურავმა იგრძნო, რომ გაბრაზებული ვეფხის წყრომა თან-და-თან პეტრიელას სახლობაზე გადადიოდა. იმან კარგათ იცოდა, რომ ბატონის ვაი-ვაგლახი სულ პეტრიელას სახლობას დატყუებოდა თავზე, რადგან თვითონ ის ხელიდან გაძრომოდა. „ბატონის ჯავრი მტრის კარსო!“ — თქიქრა გულში მოურავმა. იმას შეეცოდა პეტრიელას სახლობა, რომელიც შვილის გადავარდნითაც ისე გაუბედურებული იყო, რომ ბატონის რისხვა მას აღარ ეჭირებოდა. ამისგამო მოურავი ცდილობდა სიფრთხილით აეშორებინა ბატონის წყრომა პეტრიელას სახლობაზე.

— დედა იმისი სულ თმას იწეწდა: იმ ლეთს-გან დაწყველილმა როგორ ვაბედა ბატონის ურჩობაო, ის დღე რატომ არ დაიქცა, რა დღესაც მე იგი დამებადაო, იმის ბარობით ჩვენც უნდა დაგვენდუროს ბატონიო. რატომ სულ სისხლი არ აღნა ცხვირპირში იმ დალოცვილმაო, რატომ სულ არ მოკლაო... — დაუწყო გამართლება მოურავმა პეტრიელას დედას.

— ნუ, ნუ გამახსენებ იმ კუდიანს, იმას! — შეჰძახა გაბრაზებით რევანსა. — სულ ეგ არის დანაშაული. მაგისთანა საძაგელი და უკმები სახლობა ჩემ უმებში არავინ არის. ბარე ორჯელ ვისადილებ მაგათ ზურგზე. ძალიან დაუმსხვილდათ კისერი. თუ მაგრე ადვილი იქნა გადავარდნა, ან ერთი ბიჭი რალათ დადგება ჩემთან, აიკვრენ ბარგს და ყველა წავა. არა, მე მაგათ უნდა ვაჩვენო, თუ რა ძნელია გაქცევა... შიუკელა, გესმის? ხვალვე ამომიყვანე ძროხა პეტრიელას სახლიდან. ნუ გეშინია, ჩემ მესობ ლებს არც ერთი ლუკმა არ გადარჩებათ იმ ძროხიდან. მოგეცა სიცოცხლე, მე რინი დედაძლო! ტყუილა ნუ ელის პეტრიელას სახლობა, რომ მარტო ამითი გადამჩრეს!..

— რა ბძანებაა, ისინი კიდევ უფრო ჯავრობენ პეტრიელას გაქცევას. საწყალი დედა ამბობდა: ნეტავი ტყავიც ვაძრო ბატონს იმ საძაგლისთვისაო...

— შენ ის აასრულე, რასაც გეუბნებიან. ბევრს ნუ ლაპარაკობ, გესმის! — უთხრა რევანსა ისეთი ხმით, რომ მოურავს ტყუილა ხმის ამოღების მადაც დაეკარგა და აჩქარებით მიიძახა:

— მესმის, შენი ჰირიმეო.

— ძალი ძალის ტყავს არ დახვესო! — წაიღუ-
ღუნა ბაკურიძემ და უცებ მიტრიალდა სიმიდის ზვი-
ნებისკენ.

— ეი, ეი, ეი! — მართო უცებ ყვირილი ბაკუ-
რიძემ, როცა შეხედა, რომ სიმიდის ტაროებს ულ-
ლებათ კისერმოხენილი ლორები მიცივინოდნ და
ჭამდნენ. — ლორებმა სიმიდი შეჭამეს. არიქა, შიუკელა,
გაფრინდი, გარეკე, ძაღლები მიუსიე, ძაღლები!

— ოუ, ოუ, ოუ; სიპ, სიპ, სიპ! — მოსმა ხმა-
მოურავისა, რომელიც ძაღლებით უკან მიდევდა და-
ფეთებულ ლორებს.

— ჰაი, ეგ საძაგლები!.. ვინ გაალო ჰიშკარი?..
ჩენი გოჭებია; განა? — მიძახნოდა ბაკურიძე მოურავს.
— სწორეთ მელორე სადმე მინდორში ეგდება, ლო-
რები კი ასე უპატრონოთ დაუყრია... იმათგან ხეირს
ნუ მოვლი, თუ ყოველთვის ცხვირში მუქს არ ურ-
ტყამ. — შიუკელა, ჰიშკარი კარგათ მიკეტე... სხვა ბი-
ჭები სად არიან? — გაჯაგრებით ყვიროდა ბაკურიძე.
რა ამბავია, რომ ერთი არაინ ქაჭანობს ამ ეზოში?
ჭამენ, სმენ და ძილის მეტს არას აკეთებენ ეგ მამა-
ობრები. სწორეთ სადმე ეძინებათ ახლა... შიუკელა,
წადი, ერთი ვინმე ბიჭი მოძებნე, თუ სადმე დაძინე-
ბული ნახო, ერთი კოკა წყალი დაასხი თავზე...

გააფთრებული ბატონი წამოვიარდა და უშვერი
ლანძღვით წინ და უკან დადიოდა მუხას ქვეშ, სა-
ნამდის თან და-თან არ დაწყნარდა. ამ დროს ბიჭმაც
მოართვა ბატონს ვეცხლის სურით ცივი წყალი. ის
წყალს დაეწაფა და მერე დაუძახა თავის ქალს, რომ-
მელიც ცოტა მოშორებთ ეზოში რალსაც აკეთებ-
და მარინესთან. გვრიტია გამოიქცა მამასთან და ჩა-
უვარდა ხელებში.

— გიტო, სად იყავი? — ჰკითხა მამამ ალერსით
და ლოყაზე აკოცა.

— მარინესთან ვთამაშობდი.

— დედა რას აკეთებს?

— ჰკერავს.

— სანადიროთ არ წამოხვალ, გიტო?

— კი წამოვალ! — აჩქარებით მიუგო გვრიტია,
რომელსაც თვალები მარინესკენ ეჭირა, ეშინოდა,
მარინემ ნაფოტის სათამაშოები არ დამინგრიოსო.
ბოლოს დასხლტა მამას ხელ-დან და გაიქცა კვლავ
თავის სათამაშოებისკენ.

მზე გაღიზნა. ტკბილმა სიომ დასაეღვით მოჭ-
ბერა და თან მოიტანა მინდვრის ყვავილების სუნი.
დამავალი მზის შუქი ოქროს ქსელსავით გაება მინ-
დვრებზე და გძელი ხის ჩრდილებით დახატა ის არე
მარე. შორს ახალკისის მთის ქედები გადმოჰყურებ-
დნენ. შინ მომავალმა პირუტყვმა შეჭქნა ბღაილი,
ხბოებისა და თიკნების პეტელმა მოიცვა იქაუ-
რობა. ბაკურიძე მოტრიალდა თუ არა, შენიშნა,
რომ მსუნაგ ლორებს და გოჭებს ხელმეორეთ გაჭ-
ქონდ-გამოჭქონდათ ეზოში სიმიდის ტაროები, და
იკვირა: — კიდევ ლორები?.. ჰიშკარი ვინ გაალო? ერ-
თხელ არ ძითქვამს და ორჯელ, ჰიშკარს ნუ გააღებთ-
მეთქი. რომ არა ეშველათრა ამ მამაობრებს, ვერ
შეეგონენ! კიკოლია, კიკოლია! — გაძახა ბაკურიძემ.

— ბატონო, — შორიდან მოსმა მენახირის ხმა.

— აქ მოდი, შე საძაგლო!

ამ დროს ეზოში გაჩნდა ხუთი ბიჭი, რომელნიც
ხან იქით დარბოდნ და ხან აქეთ, რომ როგორმე
ეზოდან გადაერკათ ლორები. ყოველ ლორს თითო
სიმიდის ტარო ეჭირა პირში და მიარბენინებდა ეზოს
გარეთ. ბოლოს როგორც იქნა, ულლიანი და კისერ-
გახენილი ლორებისაგან გადაარჩინეს სიმიდის ხეაგები.
ბატონის წინ წადგა დაფლეთილი ტანსაცმლით ერთი
გამხმარი, თვალებგადმოკარკლული ბიჭი, რომელ-
საც ხელში გძელი წნელი ეჭირა. ცარიელი ძველი
ხეირჯინი მხარზე ეკიდა და პირი დაელო.

— დღეს მთელი დღე სად ეგდებ? — შეჭყვირა ბა-
ტონმა.

— ლორებს ეუღდექი, ბატონო. — სწრაფათ მიუგო
მენახირემ და ხელში წნელს მარდათ დაუწყო ტრი-
ალი.

— ვიცო, როგორც უღდექი ლორებს. — გაჯაგრე-
ბით უთხრა რევაზმა, — სულ კბილები უნდა დაგამტე-
რიოს კაცმა! — ის მიუახლოვდა ბიჭს და მუქი ცხვირ-
თან მიუტანა, — იქნება მაშინ გააკეთო რამე, თვარა
უამისოთ კაცის შეიღოს არ ჰგაფხარ... წადი, უთხარი
შიუკელას, მიუბრუნდა მეორე ბიჭს, რომელიც იქვე
იღგა და სეირს უყურებდა, — ცვარი ღვინო არ დაა-
ლევინოს ამ საძაგელს, თვარა ეტყობა ყოველთვის
თერება ღ მინდორში ძინავს. ძალიან ჯადერი აქვს მაგას
ლორების! წადი, წავთრიე, შე ეშმაკის შეილო! —
შეევირა მენახირეს ბაკურიძემ და დამშვიდდა.

ბინდი დაჰკრა. ბატონი ნელ-ნელა აღიოდა ოდის
კიბეზე. ეზოში აღარაინ ქაჭანებდა, მხოლოთ ხან-
და-ხან რომელიმე ბიჭი გაირბენდა ერთი სახლიდან
მეორემდე ანკარა წყლით, ან სხვა რასმესთვის. კომ-
ლი ბულქვით ავარდა სამხარეულოს თავზე. ბატო-
ნისთვის ვახშამს ამზადებდნენ.

გ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება)

საქველ-მოკმედო საქმე

მეფე ერეკლეს ფონდის სსსსტგებლათ, რომელსაც
მიზნათ აქვს გაგზავნოს საზღვარ გარეთ სწავლის შესა-
გებლათ ასაღვასდობა, შემოვიდა კნ. კვკტიანე დავითის
ასული პანათაშვილისგან 23 მ. თავმჯდომარე ამ კომი-
ტეტის კნ. ნინო ნიკ. რაბულიანის უდრმეს მადლობას
უაღვინს შემომწიჭვეს.

„კვალის“ ფოსტა.

ბ.ბ. „ჭაბუკს“, ი. მეგრელიძეს და სხვებს: „ივე-
რიის“ ლაზღანდარობას და „ვარის“ მიეთ-მოეთობას
ჩვენ თავს არ უყადროთ. ამავისთვის ჩვენ გავეთს არ
ცალია. რაც ვთქვით, ისიც კმარა და ამიტომ თქვენ
წერილებს არ ებეჭდათ. ის ისევე „ივერიის“ რედაქ-
ციას გაუგზავნეთ, შეიძლება იმან წაიკითხოს და
ქკუაში ჩაეარდეს.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ. წერეთლისა.